# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 30 დეკემბერი, 2022 | №258 (9036) | ფასი: 80 თეთრი

## როგორ შევხვდეთ ახალ წელს და გავაცილოთ ძველი წელი?



გვ.4

# „პრეზიდენტის სასახლესთან გამართული აქცია „ქართული ოცნების“ მიერ იყო ორგანიზებული“







**გედევან ფოფხაძე:** „სააკაშვილი „ოცნებას“ სავაჭროდ სჭირდება. მისი გაშვებით ამომრჩეველზე ზეგავლენას კარგავს“



გვ.3

დათო ლორთქიფანიძე: „უცხოეთში არიან ადამიანები, რომლებსაც „ინტერესი აქვთ“, სააკაშვილი თავისუფალი იყოს. თუკი საქართველოს ჯანდაცვის პირობებში მიშას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, საჭიროა მისი საზღვარგარეთ უფრო ძლიერ კლინიკაში გადაყვანა“



გვ.2

## „სალომე ზურაბიშვილს არავინ მივარდნია, მან გამოაგზავნა თავისი წარმომადგენელი და რეზიდენციასთან მიგვიწვია“

## „ქართული ოცნება“ ძალაუფლებაში გაირყვნა“

კახა ქემოკლიძე: „უამრავი შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ, ევროპული მომავალი საფრთხის ქვეშ დააყენა და ახლა ცდილობენ, ეს ყველაფერი სააკაშვილს მიაბან“



გვ.2



გვ.4

## „მობილიზაციის მეორე ტალღა რუსეთს ძვირად დაუჯდება“

„რუსული ფრთოსანი რაკეტები ხარვეზიანია და ხშირად გზაში ვარდება“



**შალვა ხაჭაპურიძე: „სასამართლო პროცესზე ის მტკიცებულებები მივიღეთ, რასაც ვამბობდით, რომ სააკაშვილი მოწამლულია პენიტენციურ სამსახურში“**

გვ.5

**პროკურატურამ ბრალი წარუდგინა პირს, რომელმაც მარნეულში მამა და პაპა დაჭრა**



1993230720223

5 გორის იუსტიციის სახლში დაცვის პოლიციელს იარაღი გაუვარდა

5 ნიკა მელია ამბობს, რომ სალომე ზურაბიშვილს შეხვდა

7 ხვიჩა კვარაცხელია: „როდესაც მარადონას სახელის თუნდაც მცირე ნაწილი შენთან ასოცირდება, ეს დიდი პატივია“

6 პუტინის საიდუმლო გეგმა უკრაინის მიმართ

# „ქართული ოცნება“ ძალაუფლებაში გაირყვნა“

## კახა ქემოკლიძე: „უამრავი შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ, ევროპული მომავალი საფრთხის ქვეშ დააყენა და ახლა ცდილობენ, ეს ყველაფერი სააკაშვილს მიაბან“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.**



***– ბატონო კახა, გუშინ საზოგადოებამ საკმაოდ გაბრაზებული პრეზიდენტი იხილა. როგორია თქვენი შეფასებები სალომე ზურაბიშვილის განცხადებებთან დაკავშირებით? ბევრი მინიშნება და კრიტიკა გაუგზავნა აღმასრულებელ ხელისუფლებას. თქვენ რა გზავნილები ამოიკითხეთ?***

– მე ვფიქრობ, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა საკმაოდ საინტერესო და ამავდროულად ძალიან მნიშვნელოვანი აქცენტები გააკეთა. ამ აქცენტებიდან ყველაზე გამოსაყოფი, ჩემი აზრით, არის სწორედაც მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს საკუთარ პარტაქტივს და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს უგზავნიან პრეზიდენტს, სასახლესთან, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ცხოვრების ბოლომდე ამწესებენ ბატონ მურუსიძეს და ბატონ ჩინჩალაძეს.

***– სად იყავით 2007, სწორად იკითხა მან?***

– დიახ, ძალიან სწორად იკითხა. ისევე, როგორც მას, მეც ძალიან კარგად მახსოვს, დღეს „ქართული ოცნების“ შემადგენელი ნაწილი ვინ არის. ამ ადამიანების ძალიან დიდი ნაწილი, პრეზიდენტი სააკაშვილის ჩამოკიდებულ სურათზე, საკუთარ კაბინეტებში, გავლა-გამოვლისას პირჯვარს იწერდნენ და დღეს ეს ადამიანები ნამდვილად მოძღვრავენ ქართველ საზოგადოებას სამართალზე, სამართლიანობაზე, მორალსა და კეთილსინდისიერებაზე. ქალბატონმა ზურაბიშვილმა აი ეს სწორი კითხვის ნიშნები დასვა.

„ქართული ოცნება“ ძალაუფლებაში გაირყვნა და სწორედაც ამორალურობის პიკს მიაღწია ამ უგუნურებამ. ის აქცენტები, რაც პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა გააკეთა, ძალიან სწორი იყო და ამავდროულად ძალიან სწორი კუთხიდან დასმული.

***– ბოლო პერიოდია გააქტიურდა „ოცნება“ პრეზიდენტის ლანძღვა-გინებაში. რატომ ეშინიათ, რომ შეიწყალებს სააკაშვილს და ამიტომ უტევენ ასე?***

– მე არ ვიცი „ოცნებას“ რის ეშინია, მაგრამ „ოცნება“ რომ მყარად არ არის, ეს არის მარტივი პოლიტტექნოლოგიური ახსნა. „ქართული ოცნება“ იდეოლოგიური თვალსაზრისით აბსოლუტურად ჩამოშლილია. ერთადერთი, რითაც ცდილობენ საკუთარი ამომრჩეველი დაიმაგრონ, ეს არის ცრუ შიშები და ის ხელოვნურად გამოწვეული შიში, რომელიც დაამკვიდრეს ე. წ. მეორე ფრონტის გახსნის აბსოლუტურად ცრუ ნარატივზე, რომელიც დააბრალეს დასავლეთს. იმის ნაცვლად, რომ საკუთარი საზოგადოებისთვის ობიექტური ჭეშმარიტება აეხსნათ, ამის ნაცვლად, ომის დაწყება დააბრალეს დასავლეთს. რაც არის სწორედაც რუსული ნარატივი. იმის ნაცვლად, რომ საზოგადოებას უხსნიდნენ, არ არსებობს არჩევანი ომსა და მშვიდობას შორის, რეიგანის ცნობილი სიტყვებისა არ იყოს, არჩევანი არსებობს მხოლოდ მშვიდობასა და დანებებას შორის. უკრაინამ სწორედაც ე. წ. ხელოვნურ მშვიდობას ეს გმირული ბრძოლა არჩია. ჩვენი ხელისუფლება კი დაკავებულია საკუთარი საზოგადოების ტვინების გამორეცხვით. სწორედ ეს არის, რაც პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა დაინახა და რასაც გაემიჯნა.

***– რუსული სოფელიო, ესეც ბევრს მოხვდა ყურში. რას გაუსვა ხაზი სალომე ზურაბიშვილმა?***

– მე დავინახე ის აქცენტი, რაც ობიექტური რეალობაა. ქვეყნიდან გავიდა 100 ათასი საქართველოს მოქალაქე და ქვეყანაში შემოვიდა 112 ათასი რუსი. შემოვიდა კი არა, აქ დამაგრდა, თორემ შემოსვლით ათჯერ უფრო მეტი შემოვიდა. ეს არის ფაქტიურად რბილი ძალის ელემენტებისა და ინსტრუმენტების გამოყენება უიარაღოდ, ქვეყნის დასაპყრობად. სალომე ზურაბიშვილმა სწორედაც ეს იგულისხმა, რომ თბილისის ქუჩებში, დღეს, გაცილებით უფრო მეტ რუსულ ენას გაიგებთ, ვიდრე გახარებული ადგილობრივი თბილისელის საუბარს. ადით ნებისმიერ საზოგადოებრივ ტრანსპორტში და დააკვირდით ადამიანების დამწუხრებულ სახეებს. ადამიანების, რომლებიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, საკუთარი შვილები როგორ გამოკვებონ. საახალწლოდ საჩუქრები როგორ უყიდონ. გადაიპენტა საქართველო რუსეთის მოქალაქეებით და ამას გვასაღებენ ორნიშნა ეკონომიკურ ზრდად. რუსების შემოსვლას და მათ აქ დამაგრებას, რუსული ფულის ხარჯვას ასაღებენ ეკონომიკურ ზრდად. ეს არის „ქართული ოცნების“ უტიფრობის პიკი!

***– ბატონო კახა, მთავარი კითხვა პასუხგაუცემელი დატოვა პრეზიდენტმა, თუმცა თქვა, რომ აუცილებლად გასცემს პასუხს. შეიწყალებს მიხეილ სააკაშვილს?***

– მე ვფიქრობ, რომ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი არის გამჭრიახი პოლიტიკოსი, რომელიც ამავდროულად ძალიან კარგად იცნობს ქართულ პოლიტიკურ სპექტრს და ლანდშაფტს. ამიტომ ის მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რასაც მიიღებს. ჩვენი გუნდი არ მიეკუთვნება იმ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც ან ერთი მხრიდან გაუვლებს მას წითელ ხაზებს, ან მეორე მხრიდან. რის თქმა მინდა იცით? და მე მინდა ამას ძალიან მკაფიოდ გავუსვა ხაზი, რასაც „ქართული ოცნება“ მიზანმიმართულად ცდილობს, რომ სახელმწიფო ინტერესების საპირისპიროდ წარმოაჩინოს. ქვეყნის ევროპული პერსპექტივა და ევროპული ინტეგრაცია არ გადის პრეზიდენტ სააკაშვილზე. ქვეყნის ევროპული პერსპექტივა გადის იმ მნიშვნელოვან რეფორმებზე, ელემენტარულ რეფორმებზე ამავდროულად, რომელიც არის ნორმალური, ცივილური, დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების საბაზისო რეფორმა.

***– სპეციალურად გადააქვთ ისრები. კალაძის განცხადებაც ბევრს მოხვდა ყურში, თუკი სააკაშვილი უნდა შევიწყალოთ და ამის სანაცვლოდ უნდა მოგვცენ კანდიდატის სტატუსი, დიახ, არ გვინდა ასეთი სტატუსიო. ანუ მიზანმიმართულად სააკაშვილს უკავშირებენ ქვეყნის ევროპულ მომავალს?***

– მიზანმიმართულად სააკაშვილს უკავშირებენ, იმიტომ, რომ სააკაშვილთან დაკავშირება ძალიან იაფფასიანი, მაგრამ ამავდროულად, საკმაოდ კარგი პროპაგანდისტული ინსტრუმენტია ანტიევროპული განწყობების გასაღვივებლად. შენ თუ დაარწმუნებ ქართველ საზოგადოებას, რომ თურმე ევროკავშირი ითხოვს სააკაშვილის გათავისუფლებას, რა თქმა უნდა, ეს საზოგადოება გაბრაზდება. რადგან ამ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი არის გამწარებული პრეზიდენტი სააკაშვილის მიერ დაშვებული შეცდომებით და საკმაოდ აგრესიული შეცდომებით. ევროკავშირი სააკაშვილის გათავისუფლებას კი არ ითხოვს, როცა დააკავეს, მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში ხმა არ ამოუღიათ და რატომ გაახსენდათ ახლა?! ევროკავშირი ითხოვს იმას, რომ როდესაც ყოფილ საკუთარ პრეზიდენტს აკავებ, კეთილი ინებე და აიღე ის პასუხისმგებლობა, რომ მის ჯანმრთელობაზე იზრუნო და ამავდროულად გააკეთო მაქსიმუმი, რომ მის ჯანმრთელობას და პირად უსაფრთხოებას საფრთხე არ დაემუქროს. აი ამას ითხოვენ ევროპელები. ამას მარტო სააკაშვილზე კი არ ითხოვენ, ნებისმიერ ადამიანზე მოითხოვენ.

***– რომ შევაჯერდეთ, ბატონო კახა, ანუ ვერ ასრულებენ 12-პუნქტიან გეგმას და ცდილობენ საზოგადოება უარყოფითად განაწყონ ევროპის მიმართ, რომ აი, სააკაშვილში გვიცვლიან ამ ყველაფერს.***

– აბსოლუტურად, თქვენს მაგ თეზისს 101%-ით ვიზიარებ! შეგნებულად აკეთებენ და ეს ყველაზე უარესია. პრეზიდენტ სააკაშვილს აბამენ ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას, რაც არის ძალიან დიდი ტყუილი! ეს ასე ნამდვილად არ არის. სანამ სააკაშვილს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ დაუმძიმდა, მანამდე რატომ არ გაახსენდა სააკაშვილის საკითხი ევროკავშირს? რატომ მანამდე არ აკეთებდნენ მწვავე განცხადებებს?! იმიტომ, რომ ევროპული ფასეულობა რა არის იცით? სააკაშვილი იქნები თუ ნებისმიერი რიგითი საქართველოს მოქალაქე, ვალდებულები არიან, რომ შენი უფლებები დაიცვან. აი ეგ არის სწორედაც ევროპული ფასეულობა და ღირებულებები. მათთვის სულ ერთია, შენ ვინ ხარ. უამრავი შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ, ევროპული მომავალი საფრთხის ქვეშ დააყენა და ახლა ცდილობენ, ეს ყველაფერი სააკაშვილს მიაბან. არაფერ შუაში არ არის სააკაშვილი! უბრალოდ, ცდილობენ, ევროპული ღირებულებები დააკნინონ.

# „სალომე ზურაბიშვილს არავინ მივარდნია, მან გამოაგზავნა თავისი წარმომადგენელი და რეზიდენციასთან მიგვიწვია“

## დათო ლორთქიფანიძე: „უცხოეთში არიან ადამიანები, რომლებსაც „ინტერესი აქვთ“, სააკაშვილი თავისუფალი იყოს. თუკი საქართველოს ჯანდაცვის პირობებში მიშას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, საჭიროა მისი საზღვარგარეთ უფრო ძლიერ კლინიკაში გადაყვანა“



გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.**

***– ბატონო დათო, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს შეიწყალებს?***

– ეს ისეთი კითხვაა, დათო ლორთქიფანიძემ კი არა, სალომე ზურაბიშვილმაც არ იცის.

***– როგორ?***

– ჩვეულებრივად. სალომე ზურაბიშვილის პოზიცია მის რეზიდენციასთან გამართული აქციის მონაწილეების მიმართ, მისი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ჩემთვის გაუგებარია. ქალბატონი სალომე რას ფიქრობს, არ ვიცი მას შემდეგ, რაც მის რეზიდენციასთან მისულ საზოგადოებას უთხრა, აქ მომივარდითო.

სალომე ზურაბიშვილს იქ არავინ მივარდნია. შვილმკვდარი მშობლები და მათი ათასობით მხარდამჭერი (დარწმუნებული ვარ, საქართველოში არის მილიონობით ადამიანი, რომელიც ამ ხალხს მხარს უჭერს) პრეზიდენტის რეზიდენციასთან მივიდა თავისი პოზიციის დასაფიქსირებლად, რათა ეთქვათ, რომ კრიმინალი არ შეიწყალოს. აქცია სხვა ლოკაციაზე ტარდებოდა. სალომემ გამოაგზავნა მისი წარმომადგენელი და რეზიდენციასთან მიგვიწვია.

***– აქციაზე თქვენც იყავით?***

– დიახ. 2-3 სამი გამომსვლელი გამოვიდა. დაჩი ცაგურია გამოდიოდა. შემდეგ მე უნდა გამოვსულიყავი. დაჩის გამოსვლის დროს პრეზიდენტის წარმომადგენელი მოვიდა და გვთხოვა, პრეზიდენტმა გთხოვათ, რეზიდენციის მთავარ შესასვლელთან მობრძანდეთო. ჩვენც გამოსვლები შევწყვიტეთ და მისი რეზიდენციის შესასვლელთან გადავინაცვლეთ.

***– ვინ იყო, იცით, ვინც პრეზიდენტის რეზიდენციასთან მიგიპატიჟათ?***

– სახელი და გვარი არ ვიცი. მისი წარმომადგენელია. შეიძლება დაცვის თანამშრომელი გახლდათ. ვიზუალურად ვიცნობ, მის გვერდით ხშირად ვხედავ. პირველი პირიდან ნათქვამს გეუბნებით, რადგან ის ადამიანი თორნიკე მოლაშვილსა და მე ერთად გვესაუბრა. ამიტომ მივედით.

სალომე გამოვიდა და პირველი სიტყვა, რაც იყო, თქვა, მომივარდითო. პრეზიდენტი, ბუნებრივია, მიცნობს. ვიფიქრე, შეეშალა-მეთქი (მაინც ფრანგია) და ვუთხარი, მოვედით-მეთქი. მეგონა სიტყვას შეცვლიდა და იტყოდა, მოხვედითო, მაგრამ ისევ გაიმეორა ორჯერ, მომივარდით, მომივარდითო.

ამის შემდეგ ნამდვილად ძნელია წინასწარ იმის განსჯა, ქალბატონი სალომე სააკაშვილთან დაკავშირებით რას აპირებს.

***– პრეზიდენტს მომხიბვლელი გამონათქვამები აქვს. ერთი წლის წინ თქვა: არა და არასოდესო, რითაც გაახარა სააკაშვილისაგან დაჩაგრული ხალხი. ახლა თქვა, მომივარდითო. ამას ხომ შეიძლება აზრის ტრანსფორმაცია ვუწოდოთ? პრეზიდენტს რატომ შეიძლებოდა ეთქვა, მომივარდითო?***

– რასაც ვიტყვი, ჩვენი მრავალათასიანი მკითხველი ადვილად მიხვდება. არ ვიცი, რა ჰქვია, მაგრამ იქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც პირველივე დღიდან ვაპროტესტებდით სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის უმსგავსო საქციელს. ამ ხალხმა მუხლჩაუხრელად იშრომა, იწვალა, რომ ქალბატონი სალომე საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყო.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურად, ადამიანურად მეგონა, რომ ამ ხალხთან მივიდოდა, მოეფერებოდა, დამდეგ ახალ წელს მიულოცავდა და ერთ წინადადებაში იტყოდა: რასაც სააკაშვილის შეწყალებაზე ამბობენ, ჭორია. მე იმის ერთგული ვარ, რაც ვთქვიო, მაგრამ სულ სხვა რამ თქვა.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ თქვა?***

– არ ვიცი, პასუხი არ მაქვს, მისი პოზიციით გაოგნებული ვარ. ჩვენ, ვინც იქ, წინა პლანზე ვიყავით (თორნიკე მოლაშვილი, სოსო რობაქიძე, ია მეტრეველი, ლალი მოროშკინა და სხვები), დათო თევზაძეს ვთხოვეთ (რომელიც მის ადმინისტრაციაში მუშაობს), პრეზიდენტისთვის ეთქვა, რამდენიმე წარმომადგენელი მიეღო და გასაუბრებოდა. ჩავთვალეთ, რომ პრეზიდენტს მივეცით კარტ-ბლანში, ნათქვამი გამოესწორებინა, ვიფიქრეთ, აღელვებულმა რაღაც ისე არ თქვა, როგორც უნდა ეთქვა. 5-7 წუთის შემდეგ, დათო ჩამოვიდა და გვითხრა, ქალბატონმა სალომემ თქვა, ბრიფინგს ჩავატარებ და ყველაფერს იქ ვიტყვიო. ამის შემდეგ დავიშალეთ და წამოვედით იმ გაგებით, რომ ბრიფინგამდე საათნახევარი იყო და ის უკვე გაწონასწორებულ განცხადებას გააკეთებდა, მაგრამ უფრო მეტად გულსატკენი ისაა, რომ მან ბრიფინგზეც იგივე გაიმეორა.

ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა აქცენტები იმაზე, ვინ სად იყო. საერთოდ, ანომალიური იყო „ქართუ ბანკის“ მოხსენიება.

***– საინტერესოა, ვინ დაინახა სალომე ზურაბიშვილმა აქციის მონაწილეებს შორის ისე-***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „პრეზიდენტის სასახლესთან გამართული აქცია „ქართული ოცნების“ მიერ იყო ორგანიზებული“

## გედევან ფოფხაძე: „სააკაშვილი „ოცნებას“ სავაჭროდ სჭირდება. მისი გაშვებით ამომრჩეველზე ზეგავლენას კარგავს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გედევან, როდესაც პრეზიდენტს ჰკითხეს – მთავარ კითხვას, შეიწყალებს თუ არა სააკაშვილს, როდის გაეცემა პასუხი – უპასუხა, როცა გაეცემა. მას არ უთქვამს, რომ ამ კითხვაზე პასუხი უკვე გაცემული აქვს. რა გამოდის, შეიძლება გადახედოს?***

– თუ ამ ფრაზიდან გამოვალთ, მან გვითხრა – საკითხი ღიაა. შესაბამისად, მისი ადრინდელი ფრაზა – არა და არასოდეს! გაქრა. პრეზიდენტის ახალი ფორმულირება ბევრად უფრო სწორია. საერთოდ, პოლიტიკოსი არ უნდა იყოს კატეგორიული.

ახალი გარემოება, ახალი რეალობა, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ შეიქმნა, მას, როგორც ჩანს, აფიქრებს. ცნობილია საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია. ცნობილია ევროპარლამენტარების პოზიცია. ამერიკელი კონგრესმენების დამოკიდებულება. ასევე ცნობილია უკრაინის ხელისუფლების პოზიცია ამ ყველაფრისადმი. არესტოვიჩმა 4 იანვარს აქციაც კი დააანონსა. ასევე ცნობილი გახდა ამერიკელი ექსპერტის ექსპერტიზის კვლევის შედეგები. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კანონის წინაშეც და მორალური თვალსაზრისითაც ახალ გარემოებებს ქმნის.

მე, სალომე ზურაბიშვილის აბსოლუტურად მესმის. ის იყო პრინციპული პოლიტიკურ ოპონენტთან დამოკიდებულებაში, მაგრამ როდესაც დაინახა სააკაშვილი მსჯავრდებული ავადმყოფი, თან, რა შეიძლება მოჰყვეს მის არასახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას, მას შეუძლია პოზიცია შეცვალოს სწორედ სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ. რაც ძალიან კარგია. ეს არის სწორი და ადეკვატური პოზიცია პრეზიდენტის მხრიდან.

***– ხელისუფლებას შეიძლება ჰქონდეს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი უკვე სხვანაირად ფიქრობს და ამან დააფრთხო ისინი?***

– დიახ, რა თქმა უნდა. პრეზიდენტის სასახლესთან გამართული აქცია „ქართული ოცნების“ მიერ იყო ორგანიზებული. ამაში ორი აზრი არ არსებობს. ხელისუფლება რეალურად დაფრთხა. სხვა შემთხვევაში ეს აქცია არ ჩატარდებოდა, ამაში დარწმუნებული ვარ. ხელისუფლებას ეშინია სალომე ზურაბიშვილის ამ გადაწყვეტილების და ამას არ მალავენ. „ქართულ ოცნებას“ არ უნდა ან სალომე ზურაბიშვილმა შეიწყალოს სააკაშვილი, ან უნდა სააკაშვილი ვაჭრობის საგნად თვითონ დაიტოვოს.

***– დასავლეთთან და არ ქართველ ხალხთან?***

– დიახ, დასავლეთთან. ქართველი ხალხი ვის რაში ადარდებს. ქართველი ხალხი გამოიყენეს და 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ „გადააგდეს“.

არ გამოვრიცხავ, დასავლეთთან სააკაშვილის თემით ივაჭრონ. შვეიცარიულ ბანკთან სანქციების სანაცვლოდ და ა.შ. მაგრამ დასავლეთს პუტინი ვერ აშანტაჟებს და პუტინს არ აძლევენ გარანტიებს და ესენი რა გარანტიებს მიიღებენ. შეუძლებელია.

თუმცა, მეორეც არის, „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილი სჭირდება ციხეში და არავითარ შემთხვევაში გარეთ. ისევ რომ უთხრას თავის ამომრჩეველს – დანაპირები შესრულებულია, მიზანი მიღწეულია – სააკაშვილი ციხეშია. ამიტომ ახლა ყველაფერი გვაპატიეთ. გვაპატიეთ თუ ქვეყანა ევროინტეგრაციის გზაზე არ მიგვყავს. თუ ისე ვერ ცხოვრობთ, როგორც დაგპირდით და ა.შ. სააკაშვილის გაშვებით ამომრჩეველზე ზეგავლენას კარგავენ. ამიტომ ძალიან დაიძაბნენ.

***– სალომე ზურაბიშვილის პრესკონფერენციას რომ დავუბრუნდეთ.***

– სალომე ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებასთან“ მორალურად აბსოლუტურად მართალია. ის თანმიმდევრულია. მან პირდაპირ უთხრა, მე დავნიშნე მურუსიძე და ჩინჩალაძე უვადო მოსამართლეებად თუ თქვენო. ამ ხალხს კი ჰკითხა – მაშინ სად იყავითო?! ეს იყო აბსოლუტურად სწორი მორალური გზავნილები.

***– მან ახსენა შანტაჟი, მუქარა, კარიერის დასრულებით მემუქრებიანო. ახსენა „ოცნების“ ლიდერები, თუმცა არა გვარებით, რომლებსაც***



***არათუ არ გაუპროტესტებიათ სააკაშვილის მმართველობა, მასთან შტაბში იყვნენო. როგორ ფიქრობთ, ვინ იგულისხმა?***

– ღარიბაშვილი, რომელიც მაშინ „ქართუ ბანკში“ მუშაობდა. კალაძე, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ, მას შემდეგ, რაც გირგვლიანი მოკლეს, სააკაშვილთან მივიდა და მის საარჩევნო შტაბში იყო. იგულისხმა კობახიძე, რომელიც ასევე სააკაშვილს უჭერდა მხარს და არაფერს არ აპროტესტებდა. ამ ადამიანების წინაშე, რა თქმა უნდა, სალომე ზურაბიშვილი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს აპროტესტებდა, რომელიც მის ოპოზიციაში იყო, ცხადია, მორალურად მართალია.

მე, ვიცნობ რა სალომე ზურაბიშვილს, დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, მორალურად და სახელმწიფოებრივად სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.



# ბრეგაძე: „მარგველაშვილი საზოგადოებას რადიკალური ოპოზიციის ასოცირებულ წევრად მოევლინა“



მარგველაშვილის ბოლოდროინდელ საჯარო განცხადებებში ისმის, რომ საქართველოში მსჯავრდებულს წამებით კლავენ. ეს „მოსაზრება“ არის სიცრუე და უსაფუძვლო მანიპულაციური ბრალდება, – აღნიშნულის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე სოციალურ ქსელში წერს.

– ადამიანი, რომელიც იყო საქართველოს პრეზიდენტი, ჰქონდა სახელმწიფოს მეთაურის პასუხისმგებლობა და უდიდესი პატივი, ყოფილიყო საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ყოველთვის, მათ შორის საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდგომაც, როგორც წესი, უნდა მოქმედებდეს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებისა და საჯარო მოხელეების ცილისწამებით კი ყოფილი პრეზიდენტი საზოგადოებას ძალაუფლების დაბრუნების ჟინით შეპყრობილი რადიკალური ოპოზიციის ასოცირებულ წევრად მოევლინა, რომელიც ყველა შესაძლო ხერხით ქვეყნის საშინაო და საგარეო იმიჯის დაზიანებისკენ მიისწრაფვის.

ბატონმა გიორგიმ, როგორც ყოფილმა პრეზიდენტმა, ასევე ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ წამების შესახებ ტყუილის გავრცელებით შეურაცხყოფას აყენებს პენიტენციური სისტემის ათასობით ღირსეულ თანამშრომელს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ასე ხელაღებით, ყოველგვარი ობიექტური საფუძვლის გარეშე, უმძიმესი დანაშაულის დაბრალება არ ყოფილა შუმანის, ადენაუერის, მონესა თუ ევროპული ერთიანობის სხვა არქიტექტორთა მოქმედების სტილი. ამგვარი ქცევა საბჭოთა პროპაგანდისტების სამარკო ნიშანი იყო.

სამწუხაროა, რომ ყოფილი პრეზიდენტი, ნებსით თუ უნებლიეთ, შენიღბულ წითელარმიელთა მხარეს აღმოჩნდა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ დასავლურ ღირებულებებთან, – წერს რატი ბრეგაძე.

# „სალომე ზურაბიშვილს არავინ მივარდნია, მან გამოაგზავნა თავისი წარმომადგენელი და რეზიდენციასთან მიგვიწვია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***თები, ვინც 2007 წელს სააკაშვილთან იყო, ან ისეთი, ვინც „ქართუ ბანკში“ მუშაობდა?***

– არ ვიცი, ვერაფერი ვერ გავიგე. ალბათ, მან უნდა განმარტოს. როდესაც „პრინციპულ“ პოზიციას აფიქსირებს, მაშინ გვარები და სახელები უნდა დაასახელოს. რაღაც მოძრაობებზე ისაუბრა: ოთხეული იქით-აქეთ რომ მოძრაობსო... არ უთქვამს, ის ოთხეული ვინ არის? პოლიტიკოსი ოთხეული იგულისხმა, შვილმკვდარი დედების ოთხეული, თუ ვინ იგულისხმა. გუშინდელი ამ „შეხვედრის“ შემდეგ, სრულ გაურკვევლობაში ვარ.

***– თქვენ რას მიაწერთ სალომე ზურაბიშვილის ასეთ სახეცვლილებას ან დამოკიდებულებას?***

– არ ვიცი. ვფიქრობ, ამ დღეს სალომე ზურაბიშვილს სტრესული მდგომარეობა ჰქონდა. არ ვიცი, რით იყო გამოწვეული მისი ასეთი განცხადებები. მიუხედავად არაორდინარულობისა, ახლანდელი განცხადება იმ არაორდინარულობის ჩარჩოშიც ვერ ჩაეტია. იმ დღეს ქალბატონ სალომეს სანდრა და სააკაშვილის უფროსი ვაჟი ედუარდი შეხვდნენ. შეიძლება ამიტომ იყო ასე აღელვებული. ოღონდ, ნამდვილად არ ვიცი, ჩვენს „მივარდნამდე“ შეხვდა თუ „მივარდნის“ შემდეგ.

თუ მათ ჩვენს „მივარდნამდე“ შეხვდა, ე.ი. ამის გამო იყო აღელვებული. თუ „მივარდნის“ შემდეგ შეხვდა, ე.ი. მათთან მომავალ შეხვედრას განიცდიდა. ასე იყო თუ ისე, სალომემ ჩემში ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა.

***– ბოლოდროინდელი პიარკამპანიის შემდეგ, სადაც მსოფლიოს წამყვან მასმედიის საშუალებებში სიუჟეტები კეთდება, რომ სააკაშვილი ხელისუფლებამ მოწამლა, აწამა და კვდებაო, სალომე ზურაბიშვილი დასავლეთის ქვეყნებიდან ზეწოლას ხომ არ განიცდის, შეიწყალეო და ამის გამო ხომ არ იყო გაღიზიანებული?***

– სამწუხაროა, რომ დღეს საქართველო ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ელექტრონული მედიის რეალობაში ცხოვრობს. ერთი მხრივ, ტელევიზიებია და ჭორებზე აგებული, აღვირახსნილი კამპანიაა, მეორე მხრივ, არის ბევრად უფრო გაწონასწორებული, ობიექტურ ფაქტებზე აგებული ტელესიუჟეტები. ფეისბუქს და საგაზეთო სივრცეს არ ვგულისხმობ, რადგან ეს სხვა თემაა.

ბუნებრივია, საზოგადოებაში რაღაც ფონი არის შექმნილი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სააკაშვილთან დაკავშირებით მსოფლიოს არც ერთი ლიდერის პოზიცია არსად გაჟღერებულა. არავის დაუგმია.

***– მსოფლიო ქვეყნების ლიდერებს არ დაუგმიათ, მაგრამ საქართველოს იუსტიციის მინისტრს ელჩები ესტუმრნენ და ნაცმოძრაობის დეპუტატმა დეკანოიძემ განაცხადა, დემარში იყოო.***

– როცა ეწვევი, დემარში არ არის, პატივისცემის გამოხატულებაა.

***– გერმანიის ელჩმა თქვა, რომ სააკაშვილის საკითხი განიხილეს.***

– მერე, რა? დემარში სად არის? ელჩებს შეხვედრა პროტესტით რომ დაეტოვებინათ, დემარში იქნებოდა. სტუმრად მისვლა, დემარში არ არის. ამიტომ ნაცმოძრაობის წევრებისაგან, მით უფრო ლიდერებისაგან, ფაქტების მიზანმიმართული დამახინჯება, ჩემთვის ახალი არ არის. ასეთია საზოგადოებასთან ურთიერთობის მათი სტილი.

არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ დიპლომატიური ეტიკეტის ცოდნა, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ მოეთხოვება. ამიტომ ჩვენი მოქალაქე სახლში რომ ზის და ტელევიზორს უყურებს, ან მანქანაში რადიოს უსმენს, ყურში სიტყვა „დემარში“ რომ ჩაესმის, მასში კარგ ასოციაციას არ გამოიწვევს. დეკანოიძის განცხადება ამაზეა გათვლილი. პრობლემაც ესაა. ეს დემარში არ არის. მერე რა, რომ მივიდნენ და განიხილეს.

სააკაშვილთან დაკავშირებით რა არის განსახილველი? რა, ვინმე ჩაგრავს, ვინმე ავიწროებს? ადამიანი, იმის მაგივრად, რომ საპატიმრო დაწესებულებაში იყოს, პირდაპირი მნიშვნელობით სანატორიუმშია.

***– სასამართლოზე საავადმყოფოდან ჩართვისას, ვიზუალურად, ფიზიკურად არ მოეწონათ, ცუდად არისო.***

– არ მეგულება მსოფლიოში ადამიანი, რომლისთვისაც ციხე კომფორტულია. ციხეში მოხვედრა არავის უნდა. მათ შორის, არც მათ, ვიზეც ნათქვამია, რომ ციხე მათია.

***– ამას ქურდული სამყაროს წარმომადგენლებზე ამბობენ.***

– დამერწმუნეთ, არც ქურდებს უნდათ ციხეში მოხვედრა. აქედან გამომდინარე, ციხე კომფორტის ზონა არ არის. ციხე ადგილია, სადაც შეზღუდვები და აკრძალვები მოქმედებს. კარგად მახსოვს, როცა მიშა საქართველოში ჩამოვიდა და დააპატიმრეს, ამბობდნენ, ჩამოსვლამდე მიშამ კუჭის ოპერაცია (რეზექცია) გაიკეთაო. მაშინ არ ადასტურებდნენ, მაგრამ ბოლო დროს აღარ უარყოფენ, ოღონდ, თითქოს 5-7 წლის წინ გაიკეთა. ე.წ. კუჭის რეზექციის შემდეგ, ადამიანის წონაში კლება ბუნებრივი მდგომარეობაა. თუმცა, გარკვეული წლების შემდეგ, შეიძლება წონაში ისევ მოიმატოს, რადგან კუჭი აღდგენას ახდენს.

ამიტომ მისი წონაში დაკლება, ბევრი მიუკერძოებელი სპეციალისტის აზრით, კუჭის ოპერაციასთანაა დაკავშირებული.

***– გუშინ სასამართლოზე ამერიკელი ექსპერტი დაკითხეს და მან თქვა, მოწამლულიაო.***

– ორგანიზმში შეიძლება ნებისმიერი სახის მომწამვლელი ნივთიერება იყოს აღმოჩენილი, მაგრამ ნორმის ზემოთ არ უნდა იყოს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღმოჩენილი ნივთიერება სწორედ რომ ნორმის ქვემოთაა. სტერილური ადამიანი არ არსებობს.

***– ერთი წლის განმავლობაში სააკაშვილი უამრავ ადამიანს შეხვდა. შეიძლება ცუდად მყოფი ადამიანი დღეში 4-5 ადამიანს ხვდებოდეს და საათობით ესაუბრებოდეს?***

– არ შეიძლება. არა მგონია ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანს იმის განწყობა ჰქონდეს, დღეში 5-6 სხვადასხვა ადამიანს ესაუბროს. წარმოუდგენელია 1.500 ადამიანს შეხვდე, ესაუბრო და თან ცუდად იყო.

***– პრეზიდენტი ელჩების კონფერენციაზე არ მივიდა, ჩემი ადგილი იქ არ იყოო. ეს რა იყო?***

– დეტალები არ ვიცი, რა იყო, მაგრამ ვიცი ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის ნიუანსები. ადამიანი, რომელიც ელჩებს ნიშნავს, ელჩებთან შეხვედრაზე უნდა მისულიყო. ეს არის უპატივცემულობა.

***– რით ხსნით ამ ნაბიჯს? სკამი სათანადო ადგილზე არ იდგაო.***

– ადამიანი წინასწარ არ მივიდა. შეიძლება სკამი სათანადო ადგილზე არ იდო, მაგრამ ხელმძღვანელი ვყოფილვარ, ბევრ შეხვედრას დავსწრებივარ და ვიცი, თუ გიწვევენ და პროტოკოლით იქ ჯდომა არ გეკუთვნის, ეტყვი, ეს სკამი აქ დადგითო. დარწმუნებული ვარ, არავინ გაკადრებს, წადი და მეხუთე რიგში დაჯექიო. პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის რატომ არ უნდა ჩამჯდარიყო. მე მგონია, რომ უფრო პატივსაცემი დამოკიდებულებაა.

***– საპროტესტოდ შეკრებილი ადამიანები პრეზიდენტს რომ მიეწვიეთ და ეთქვა, დასავლეთიდან დიდი ზეწოლა მოდის საქართველოსა და მის პრეზიდენტზე, ხელისუფლებაზე, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს, ან შევიწყალოთ, ან სამკურნალოდ გავუშვათო, რა რეაქცია ექნებოდა დაზარალებულ ხალხს?***

– მე პირადად ჩემს აზრს ვიტყვი – ის ხელოვნური ხმაური რეალობასთან ახლოს არ არის. უცხოეთში არიან ადამიანები, რომლებსაც „ინტერესი აქვთ“, სააკაშვილი თავისუფალი იყოს. თუკი საქართველოს ჯანდაცვის პირობებში მიშას ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება და ის შეიძლება ფატალურად დასრულდეს, ამიტომ საჭიროა მისი საზღვარგარეთ უფრო ძლიერ კლინიკაში, უფრო ძლიერი ექიმების პასუხისმგებლობის ქვეშ მისი მკურნალობა, საკითხი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

ამას კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ დათქმით, რომ როდესაც გამოჯანმრთელდება, უკან უნდა დაბრუნდეს და მოთავსებული იქნას საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, საკანში.

# „მობილიზაციის მეორე ტალღა რუსეთს ძვირად დაუჯდება“

## „რუსული ფრთოსანი რაკეტები ხარვეზიანია და ხშირად გზაში ვარდება“

მარიამ მჭედლიშვილი

**ბრიტანული დაზვერვის ინფორმაციით, რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ომში ირანული დრონების ახალი პარტიის გაშვებას კრასნოდარის მხრიდანაც (ყუბანიდან) ახორციელებს. ამ და სხვა საკითხებზე რუსული რადიო „თავისუფლების“ კავკასიის განყოფილებას განმარტებები მისცა სამხედრო მიმომხილველმა დავით შარპმა.**



***– თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება რეალობას გამოქვეყნებული მონაცემები ირანული დრონების გამოყენებაზე?***

– ბრიტანულ დაზვერვას ინფორმაციის ძალიან კარგი წყაროები აქვს. მით უმეტეს, რომ ისინი მონაცემებს იღებენ ამერიკისა და სხვა მოკავშირეებისგან. უპილოტო საშუალებების გაშვება კრასნოდარის მხრიდან, მართლაც მოხდა, თუმცა მე ამას ძალიან დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი. ირანიდან რუსეთში მოკლე საზღვაო გზა ასტრახანზე გადის. არსებობს ინფორმაცია სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებზე რუსეთის სხვა აეროპორტებზე (არა ასტრახანის). ის, თუ რა ჩამოჰქონდათ, ეს მხოლოდ დაზვერვის სამსახურებმა იციან.

უპილოტო თვითმფრინავების გაშვების ადგილი ნაკარნახევია ოპერატიული და ლოგისტიკური შეხედულებებით. რუსეთის სარდლობისათვის, ეს, პირველ რიგში, არის უკრაინის საჰაერო თავდაცვის ძალებისათვის შემოვლის შესაძლებლობა. უპილოტო თვითმფრინავი იმით განსხვავდება ბალისტიკური რაკეტისაგან, რომ მას შეგიძლია დაუხვედრო შემოვლის მარშრუტი. შესაძლოა, გაშვების ადგილი ყუბანში ამიტომ გადმოიტანეს. ან ლოგისტიკამ ითამაშა როლი, ესე იგი თავიდან იქნა აცილებული უპილოტოების ასტრახანიდან ყირიმამდე (ასეულობით დამატებით კილომეტრზე) გადაზიდვა იმ დროს, როცა ყირიმის ხიდის გადამზიდავი შესაძლებლობა შეზღუდულია.

სავსებით მოსალოდნელია, რომ მომავალში მათი გაშვება ხორციელდებოდეს სხვა ადგილებიდან, მაგალითად, ბელარუსიდან.

***– არ ემხრობით იმ ვერსიას, რომ ამ ცვლილებების მიზეზი შეიძლება დაკავშირებული იყოს იერიშებთან ყირიმში რუსეთის სამხედრო ბაზებზე?***

– მიმაჩნია, რომ ეს ვერსია წინ უსწრებს მოვლენებს. უკრაინელები ატარებენ ნახევარკუნძულზე დივერსიულ ოპერაციებს და ისვრიან ამ მიმართულებით, მაგრამ არა მუდმივად. სტანდარტული საშუალებები ძლივს აღწევს ნახევარკუნძულამდე. ამიტომაც ყირიმში დღემდე მოქმედებს უამრავი ინფრასტრუქტურული და სამხედრო ობიექტი. მათ შორის, ავიაცია. შაჰედ 136 და შაჰედ 131-ის გასაშვებად არ არის საჭირო სამხედრო ბაზის მშენებლობა. არა მგონია, რომ კრასნოდარიდან გაშვებული დრონები რაიმე განსაკუთრებულს ნიშნავს.

***– ყუბანის მოსახლეობას ხომ შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: ხდება თუ არა რეგიონი სამიზნე ამ უპილოტო თვითმფრინავების გაშვების გამო?***

– უპილოტოების გაშვება შესაძლებელია ნებისმიერი უკვე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზიდან. ისინი ისედაც არიან პოტენციური სამიზნე. უპილოტო თვითმფრინავების გაშვებამ შეიძლება უკრაინის სარდლობას გადააწყვეტინოს დაარტყას ამ რაიონს, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ იარაღს მიაწვდენს.. თუ უკრაინელებს გამოუვათ მეტ-ნაკლებად მასობრივი წარმოება, მაშინ რუსეთის სიღრმეში მდებარე რეგიონები (მათ შორის, კრასნოდარის მხარე) გახდებიან მასობრივი დარტყმების ობიექტები.

***– რეგულარულად ესვრიან ბელგოროდის, ორლოვის, ბრიანსკის ოლქებს. როსტოვისა და კრასნოდარის მხარეში ასეთი შემთხვევები ერთეულია და დაუდასტურებელი, აქ, თუმცა, რამდენიმე სამხედრო ბაზაა. რატომ ხდება ასე?***

– ბელგოროდის, კურსკის, ბრიანსკის ოლქები უშუალოდ ესაზღვრება უკრაინის არმიის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას. მისთვის არ არის რთული ესროლოს დაბას ბელგოროდთან. ამისათვის საკმარისია უბრალო იარაღი. როსტოვის ოლქი ესაზღვრება სეპარატისტულ „დონეცკის სახალხო რესპუბლიკას“. ეს ასეულობით კილომეტრია. უბრალო არტილერია და რაკეტები მას ვერ მოსწვდება.

***– დეკემბრის შუა რიცხვებში ვოლგოგრადის ოლქში ჩამოცვივდა რუსული რაკეტის ნამსხვრევები. მანამდე ამგვარი ფაქტების შესახებ ცნობები მოდიოდა სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეებიდან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ რეგიონების მოსახლეობისთვის საფრთხე ძირითადად რუსული ჭურვებიდან მოდის. ეთანხმებით ამ აზრს?***

– სირიაში ომიდან მოყოლებული ვაკვირდები რუსული ფრთოსანი რაკეტების გამოყენებას. ამ რაკეტებში მაღალია წუნის (ხარვეზის) პროცენტი. ისინი ხანდახან მიზნამდე ვერ მიფრინავს და გზაში ვარდება. რაკეტების ვარდნის შემთხვევები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ყველა მათგანი ვერ მოხვდა ახალ ამბებში. რასაკვირველია, ეს საფრთხეს წარმოადგენს.

***– შესაძლებელია თუ არა, ახალი წლის შემდეგ რუსეთში მობილიზაციის მეორე ტალღა?***

– ეს შესაძლებელია, თუ რუსეთის ხელისუფლება ჩათვლის, რომ ბრძოლის ველზე ადამიანები არ ჰყოფნის. ამ ნაბიჯს დიდი ფასი ექნება როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური. ადამიანებს მოსწყვეტენ შრომის ბაზარს. დაახლოებით 1 მილიარდი ყოველთვიურად მარტო მობილიზებულების ხელფასებზე უნდა დაიხარჯოს, არის კიდევ სხვა ბევრი ხარჯი. ეს იქნება პოლიტიკური ფასიც და წარუმატებლობების მორიგი აღიარება.

# როგორ შევხვდეთ ახალ წელს და გავაცილოთ ძველი წელი?

ეკა ირემაშვილი

**2023 წელი ლურჯი (შავი) კატა — კურდღლის წელიწადია. ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვირჩევს, როგორ შევხვდეთ ახალს და გავაცილოთ ძველი წელი:**





– 2023 წელი ლურჯი (შავი) კატა – კურდღლის წელიწადია. ეს არის შედარებით მშვიდი წელი.

ბევრი აქცევს ყურადღებას იმას, თუ როგორ შევხვდეთ ახალ წელს, მაგრამ თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას, როგორ გავაცილოთ ძველი წელი. არადა, საქართველოში ეს უდიდესი ტრადიცია იყო ოდითგანვე, რომელიც, სამწუხაროდ, დავკარგეთ. ბევრ ეთნოგრაფთან მქონდა საუბარი და ბევრი საინტერესო რამ აღმოვაჩინე.

როცა ვეკითხები, რატომ გვაქვს ახალი წელი 31 დეკემბერს? ვერავინ ვერ მპასუხობს რეალურად. ბუნებრივად 31-ში არ არის ახალი წელი და აგიხსნით რატომ. მზემ ერთი სრული ციკლი გააკეთა და რით შეიძლება ეს განსაზღვროთ? ამოსვლა და ჩასვლა სხვადასხვა დროს ხდება. შესაბამისად, 21 დეკემბერი ყოველ წელს არის საკრალური დღე. რატომ? იმიტომ, რომ ერთი სრული ციკლი დასრულდა მზის, ამას ეწოდება მზის კვდომა. 25 დეკემბრამდე ერთსა და იმავე დროს ამოდის და ჩადის მზე. ეს არის ბუნებრივი მაჩვენებელი იმისა, რომ ძველი მზე დასრულდა, მოკვდა და უნდა გაიღვიძოს ახალმა. 25-დან იწყება ახალი აღზევება. ადრე, ტრადიციულად, 25 დეკემბერს ხვდებოდნენ ახალ წელს და არა 31-ში, თან 25 ნუმეროლოგიურად არის სასწაული რიცხვი 2-ს პლუს 5 გვაძლევს შვიდს – საკრალურ რიცხვს.

ქართველებმა იცოდნენ, რომ პატივი უნდა მიეგოთ ძველი წლისთვის. ზოგი იტყვის, ცუდი წელი იყო, გავაცილო არა ის. თუ ცუდი წელი იყო, მან მოგაშორათ კარმული ვალები, ის ნეგატივი, რომელიც ხელს გიშლიდათ.

საქართველოში გაცილების 2 საინტერესო წესი იყო: იღებდნენ ზარს, ზევიდან ადებდნენ ჩვარს, ხმა უნდა ყოფილიო მოგუდული და იწყებოდა ლოცვა და მადლობის თქმა სახლში ან ეზოში საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ, იმიტომ, რომ თუ რამე სიბინძურე იყო, ყველაფერი იშლებოდა. ადრე ქართველები სანთელთან და ლოცვასთან ერთად წინა წელს მადლობას უხდიდნენ და ეს რიტუალი აუცილებელი იყო 21 დეკემბერს, ანუ აცილებდნენ ძველ წელს. 25 დეკემბერს ამ ზარს აშორებდნენ ჩვარს, ხმა უნდა ყოფილიყო წკრიალა და საათის ისრის მიმართულებით ატარებდნენ იგივე რიტუალს ლოცვით. ეს რიტუალები, სამწუხაროდ, ნელ-ნელა დაიკარგა და არავის აღარ ახსოვს.

რადგან ჩვენ 31 დეკემბერს ვხვდებით ახალ წელს, გავაცილოთ მაინც ძველი წელი 21 დეკემბერს.

***– როგორ შევხვდეთ ახალ წელს?***

– წელს არის კატა – კურდღლის წელი. ბევრს ეს აბნევს, ამიტომ განვმარტავ: კურდღელი არის მიღებული ჩინეთში, დანარჩენ აღმოსავლეთში არის კატა. უნდა გვქონდეს საახალწლო სუფრაზე 3 სიმბოლო: კატა, კურდღელი და ვეფხვი. 22 იანვრამდე გრძელდება ვეფხვის წელი. ჩვენ რომ ის გავანაწყენოთ, ვეფხვი მოვაშოროთ და ის 2 დავტოვოთ, 22 იანვრამდე დიდი დროა. აგრესიულია ვეფხვი, ამიტომ 22 იანვრამდე ვეფხვის სიმბოლოც უნდა გვედოს მაგიდაზე. ვეფხვს წინ დავუდოთ პატარა ნაჭერი ხორცის, კატას წინ დავუდოთ პატარა ნაჭერი თევზის, ხოლო სტაფილო – კურდღელს, კომბოსტოც შეიძლება, მწვანილიც. ეს ყველაფერი უნდა იდოს მაგიდაზე და ამით შევხვდეთ ახალ წელს.

***– წლის ფერზე რას გვეტყვით?***

– წლის ფერი საიდან მოდის? ხშირად ეს არ ესმით და შეცდომებს უშვებენ. ფერს გვაძლევს სტიქია იმ წლისა. სამყაროს მართავენ სტიქიები. 2023 წლის სტიქია არის წყალი. წყლის ფერი ძირითადად არის ლურჯი. აღმოსავლეთში ითვლება, რომ წყლის პირველი ფერია ლურჯი და მეორე ფერი – შავი. 2023 წელი არის ლურჯი (შავი) კატა – კურდღლის წელიწადი. ლურჯის ყველა კომბინაცია, მათ შორის ცისფერი, შავი და თეთრი, ნაცრისფერი, ყვითელი, ბეჟი, მწვანე – ეს ტონებია მისაღები წელს. ხშირად მეკითხებიან, რა ვქნათ წითელზე. ძირითადი ფერი არ არის წითელი, მაგრამ 2024 წლამდე ჩვენს კოსმიურ სამყაროში შესუსტებულია ცეცხლის ენერგია, ამიტომ მცირეოდენი აქსესუარების სახით შეგვიძლია გამოვიყენოთ. ფერები, პირველ რიგში, უნდა იყოს წარმოდგენილი ტანსაცმელში, რომ ამითაც პატივი მივაგოთ, გადასაფარებლები, ყველა აქსესუარი, რაც სუფრაზე გვექნება. ძალიან დიდ როლს თამაშობენ სანთლები. სანთლებიც თუ ამ ფერებში გვექნება, კარგი იქნება.

***– რამდენი?***

– 2023 ჯამში გვაძლევს შვიდს – საკრალური რიცხვია, ამიტომ 7 ცალი სანთელია საჭირო. ახალი წლის დადგომამდე 15 წუთით ადრე ავანთოთ სანთელი და პატივი მივაგოთ წინა წელს. დაიწყო 12 საათი, დადგა ახალი წელი, მივულოცეთ ერთმანეთს. სანთლები გვინთია, შეხედეთ ერთ სანთელს, რა გინდათ რომ მოგცეთ, ჩაიფიქრეთ, მერე მეორეს შეხედეთ, ჩაიფიქრეთ სურვილი, რა გინდათ რომ მოგცეთ. ასე რომ, შეგიძლიათ 7 სურვილი ჩაიფიქროთ.

***– რამდენად მნიშვნელოვანია ფინანსური მდგომარეობა?***

– წყლის სტიქია, რომელიც მმართველია 2023 წლისა, მართავს ფულს. წყალი და ფული ერთი ასოციაციაა. ავიღოთ 7 მონეტა, იმიტომ, რომ წყალი მართავს მონეტარულ ფულს და არა კუპიურულ ფულს. 7 ცალი ერთლარიანი, ან 3 ცალი 2-ლარიანი და 1 ცალი ლარიანი. თუ გაქვთ ერთლარიანები, მაშინ 7 ჩათქმა გამოგივათ, თუ 2-ლარიანები და ლარიანი, მაშინ 4 ჩათქმა გამოგივათ. აიღეთ 1 ცალი მონეტა, ჩადეთ საფულეში ან წყალში და ჩაიფიქრეთ, რა გინდათ ფინანსური კუთხით მომავალ წელს. ზოგს უნდა ჯეკ პოტის მოხსნა, ზოგს მანქანა, ზოგს ხელფასის მომატება. კარგი იქნება თუ ეს ფული საფულეში გვედება 22 იანვრის ჩათვლით, მერე შეგიძლიათ დახარჯოთ.

***– ბევრს აინტერესებს, რა საკვები დავდოთ საახალწლო სუფრაზე...***

– ძალიან ბევრს აინტერესებს, რა საკვები დავდოთ საახალწლო სუფრაზე. ერთადერთი თხოვნა მაქვს – საახალწლო სუფრაზე არავითარი კურდღელი. თავი შეიკავეთ, რომ არ გააბრაზოთ მომავალი წლის მასპინძელი. ყველა სახის საკვები მისაღებია მამაპაპურიდან დაწყებული, ეგზოტიკურით დამთავრებული კურდღლის ხორცის გარდა.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ საცივს. ექსპერიმენტი ჩატარდა საცივთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ საცივი დეკემბერ-იანვარ-თებერვალში სულ სხვანაირად მოქმედებს და ივლისაგვისტოში სულ სხვანაირად ადამიანის ორგანიზმზე. საცივი 2-3-ჯერ მაღლა წევს იმუნიტეტს, ორგანიზმის საუკეთესო დამცავია, მაგრამ ივლის-აგვისტოში იგივე საცივი იმუნიტეტს არ აგიწევთ.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა ვთქვა – ახალი წელი უნდა დავიწყოთ „მრავალჟამიერით“. ამ ბგერითი ვიბრაციით იწმინდება სახლი. მასში ჩადებული ბგერითი სისტემა, რომელიც წინაპრებმა ჩაგვიდეს ამ სიმღერაში, სპობს ყველა სახის უარყოფით ენერგიას თქვენს სახლში.

***– როგორ მოვრთავთ ნაძვის ხეს, ესეც მნიშვნელოვანია?***

– რა თქმა უნდა. ნაძვის ხის გვერდით აუცილებლად უნდა იყოს ჩიჩილაკი, იმიტომ, რომ ისიც ხის სტიქიაა და მანდარინის ტოტი ან ხე. თუნდაც იყოს ხელოვნური.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ აღმოსავლეთში მათი ნაძვის ხე არის მანდარინი. ის არის ხანგრძლივი სიცოცხლის, ბედნიერების და ფულის ელექსირი. რიტუალიკის მომენტები წინა პლანზე უნდა გვქონდეს.

ქალბატონებს უყვართ ქვები, მინერალები და 31-ში წინა პლანზე წამოწიეთ აქატი – სიმბოლო სიყვარულისა და ერთგულებისა, მალაქიტი – ულამაზესი ქვა, საფირონი, აქვამარინი, ცირკონი და ძოწი, ეს ქვები თუ გექნებათ, მათი პოზიტიური ენერგია დაამშვენებს თქვენს სახლს.

***– როგორ შევარჩიოთ მეკვლე?***

– მეკვლე უნდა იყოს მშვიდი, შედარებით რბილი ხასიათის, დიპლომატიის მატარებელი მეკვლე იქნება ყველაზე კარგი. მით უმეტეს, თუ განათლებულია, არტისტულია.

***– რა უნდა შემოიტანოს მეკვლემ სახლში?***

– თუ იმ ოჯახს ჰყავს კატა, მნიშვნელოვანია, რომ კატა გაიყვანოს წინასწარ და მასთან ერთად შევიდეს. სახლში უნდა შეიტანოს 7 ცალი ფორთოხალი, 7 ცალი მანდარინი, კარგი იქნება თუ იქნება 7 ცალი ერთლარიანი ან 3 ცალი 2-ლარიანი და 1 ცალი 1-ლარიანი. მეკვლე არ უნდა იყოს აგრესიული.

ასე უნდა შეხვდეთ მომავალ წელს, წელიც იქნება გაცილებით უკეთესი და თქვენც კარგ დროს გაატარებთ.

# ზურა ყიფშიძე ეპოქის მსახიობად დაასახელეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ექსპერტი, გიორგი წერეთელი და თამილა მარეხაშვილი – წლის სკანდალური წყვილი, გიორგი წერეთელი – წლის წარმატებული მომღერალი, შორენა ნაროუშვილი – წლის წარმატებული ბიზნესლედი, რუსო დევაძე – წლის საუკეთესო სტილისტ-ქოლორისტი, ქეთი გორგაძე – წლის წარმატებული ექიმ კოსმეტოლოგი, ზეინებ ახალაია – წლის წარმატებული მეიქაფ-არტისტი, გიორგი მერაბიშვილი – წლის წარმატებული მუსიკოსი, კიაზო ჯობავა – წლის წარმატებული რეჟისორი, ნინო იოსებიძე – წლის წარმატებული ექიმი, ქეთი წიკლაური – წლის არტ ხელოვანი, ირმა სარალიძე – წლის წარმატებული ექიმი, თემურ ტატიშვილი – წლის საუკეთესო ქორეოგრაფი, თათია დარჩია – წლის საუკეთესო დიზაინერი, გურამ ბაღდოშვილი – ხალხის რჩეული ბრენდ შეფი, თაკო აბაშიძე – წლის წარმატებული მსახიობი, მურმან გაბისონია – წლის საუკეთესო შემოქმედი ადამიანი, კაკი ბოლქვაძე – წლის წარმატებული მუსიკოსი, მადლენა ლანდია – წლის წარმატებული ფოტოხელოვანი, გიორგი მჭედლიშვილი – წლის საუკეთესო ქორეოგრაფი, იური მეჩითოვი – ეპოქის ფოტოხელოვანი, ზალიკო ბერგერი – წლის წარმატებული დიზაინერი, მაია ჯაყელი – წლის წარმატებული ხელოვანი, ნეილ ენდ ბიუთი ლაუნჯ – წლის წარმატებული ბრენდი, აჩიკო დვალიშვილი – წლის წარმატებული იურისტი, ელენე ჩალიგავა – წლის წარმატებული იურისტი, აჩი ფურცელაძე – წლის წარმატებული მომღერალი, დარიკო ჩიხლაძე – წლის არტ დიზაინერი, მარიამ ჯოხაძე – წლის არტ დიზაინერი, ლუდა დუნდუა – წლის წარმატებული მომღერლი.

დაჯილდოების ცერემონიალზე წარმოდგენილი იყო ატელიე კალთას, ფერმწერ კახა ჩხატარაიშვილისა და ხატმწერ მანონი მაქაცარიას შოურუმი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# შალვა ხაჭაპურიძე: „სასამართლო პროცესზე ის მტკიცებულებები მივიღეთ, რასაც ვამბობდით, რომ სააკაშვილი მოწამლულია პენიტენციურ სამსახურში“

სასამართლო პროცესზე დაკითხულმა ექიმმა თამარ აბაშიძემ თქვა, რომ სააკაშვილი მძიმე ავადმყოფია. „ვივამედმა“ მისი მკურნალობის ყველანაირი რესურსი ამოწურა და ვერანაირ შედეგს ვერ იღებენ. მძიმე პატიმარია და ფაქტობრივად, თქვა, რომ თუ არ გადაიყვანთ, ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება, — ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.





როგორცმან აღნიშნა, სასამართლო პროცესზე ის მტკიცებულებები მიიღეს, რასაც ამბობდნენ, კერძოდ ის, რომ სააკაშვილი მოწამლულია.

— სასამართლო პროცესზე დაკითხულმა ექიმმა თამარ აბაშიძემ თქვა, რომ სააკაშვილი მძიმე ავადმყოფია, „ვივამედმა“ მისი მკურნალობის ყველანაირი რესურსი ამოწურა და ვერანაირ შედეგს ვერ იღებენ. მძიმე პატიმარია და ფაქტობრივად, თქვა, რომ თუ არ გადაიყვანთ, ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდებაო.

„ვივამედის“ ექიმმა მიიტანა ეჭვი ტოქსიკოლოგიაზე, რის შემდეგაც ჩაუტარდა ლაბორატორიული კვლევა, ამოვიდა ნივთიერებები, ამის შემდეგ ყურადღება არ მიაქციეს. თუმცა, უნდა მიექციათ, ვინაიდან, სიმპტომატიკა არსებობდა. ჩვენ მიერ 5 თვის გასვლის შემდეგ დაინიშნა ექსპერტიზა ამერიკაში, სადაც დადასტურდა იმაზე დიდი ოდენობები, ვიდრე პირველი კვლევის დროს იყო ამოღებული. სასამართლო პროცესზე ის მტკიცებულებები მივიღეთ, რასაც ვამბობდით და ვაცხადებდით, სააკაშვილი მოწამლულია პენიტენციურ სამსახურში და შეტანილი გვაქვს საჩივარი იმ პიროვნებაზე, ვინც სასამართლო დარბაზში ზის, ურთქმელიძე — ეს ადამიანი არის სისხლის სამართლის დამნაშავე, — აღნიშნავს ხაჭაპურიძე.

# პროკურატურამ ბრალი წარუდგინა პირს, რომელმაც მარნეულში მამა და პაპა დაჭრა



საქართველოს პროკურატურამ მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ დამზადების და შენახვის ფაქტებზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 27 დეკემბერს, ქ. მარნეულში, ბრალდებულს ოჯახური პრობლემების გამო შეკამათება მოუხდა, რა დროსაც მართლსაწინააღმდეგოდ დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღიდან მამას თავის არეში ჭრილობა მიაყენა, პაპას ზურგის არეში დანა დაარტყა და შემთხვევის ადგილი დატოვა.

დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად დაზარალებულების გადარჩენა მოხერხდა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 28 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 19, 109-ე მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა ჩადენილი ოჯახის ორი წევრის მიმართ), 236-ე მუხლის მესამე და მეხუთე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა, დამზადება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს, — ნათქვამია ინფორმაციაში.

პროკურატურამ პირს, რომელმაც მამა და პაპა დაჭრა, ბრალი წარუდგინა

# ახალციხის კლინიკა „იმედის“ ექთნის, მეგი ბაქრაძის გარდაცვალების ფაქტზე, ამავე კლინიკის ექიმს 4.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

ახალციხის კლინიკა „იმედის“ ექთნის, მეგი ბაქრაძის გარდაცვალების საქმეზე ამავე კლინიკის ექიმს, ვიოლეტა ინასარიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით 4.000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ თეონა ეპიტაშვილმა მიიღო და აღნიშნულით მან პროკურატურის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

როგორც მოსამართლემ განმარტა, მან გადაწყვეტილების მიღებისას ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა გაითვალისწინა.

სასამართლო პროცესზე ვიოლეტა ინასარიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე იმსჯელეს.

ბრალდების მხარე დაკავებულის 5.000-ლარიან გირაოს გამოყენებას ითხოვდა, დაცვის მხარე კი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის გამოყენებას არ დაეთანხმა.

ადვოკატ ბონდო ვათიაშვილის განმარტებით, ის ფაქტი,



რომ ვიოლეტა ინასარიძემ დაყოვნების ოთახი დატოვა, დადგენილი არ არის და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ არის.

პროკურორ თამარ იაკობიძის განმარტებით კი, ვაქცინაციიდან 20 წუთში ბაქრაძის მდგომარეობა ისე დამძიმდა, რომ ის კომაში ჩავარდა. მანამდე კი, ბაქრაძეს კისრისა და გულ-მკერდის არეში სიწითლე — ჭინჭრის ციება ჰქონდა, რაც ანაფილაქსიური შოკის საწყისი ეტაპი იყო. პროკურორის თქმით, ბაქრაძეს დროული მკურნალობა არ ჩასტარებია.

ცნობისთვის, ვიოლეტა ინასარიძეს ბრალი 28 დეკემბერს წარუდგინეს.

პროკურატურის ინფორმაციით, კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთების შემდეგ, ვიოლეტა ინასარიძემ მეგი ბაქრაძე სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იხილა,



ის ვალდებული იყო მისთვის შესაბამისი მკურნალობა დაუყოვნებლივ ჩაეტარებინა, თუმცა, არასაპატიო მიზეზით ექთანს სათანადო პირველადი სამედიცინო დახმარება არ გაუწია და კლინიკის ტერიტორია დატოვა.

ექიმს ბრალდება წარდგენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლის მეორე ნაწილით (ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია), რაც სასჯელის სახედ და ზომად 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ვიოლეტა ინასარიძეს ბრალი ასევე წარდგენილი აქვს გამოძიებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის.

## გორის იუსტიციის სახლში დაცვის პოლიციელს იარაღი გაუვარდა

გორის იუსტიციის სახლში დაცვის პოლიციელს იარაღი გაუვარდა და, სავარაუდოდ, დაზიანება მიიღო. არსებული ინფორმაციით, მას ტყვია ფეხში აქვს მოხვედრილი და საავადმყოფოში გადაიყვანეს.



## ბათუმში ქალი მე-14 სართულიდან გადმოვარდა და დაიღუპა

ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირზე უბედური შემთხვევა მოხდა — 35 წლამდე ქალი მე-14 სართულზე ფანჯრებს წმენდდა და გადმოვარდა. ის ადგილზე დაიღუპა.

## რუსთავში უსახლკარო კაცი გაიყინა

რუსთავში 60 წლამდე კაცი გარდაცვლილი ნახეს. „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, კაცი რკინიგზის სადგურის გვერდით, დანგრეულ და მიტოვებულ შენობაში რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდა.

ადგილობრივები ფიქრობენ, რომ გარდაცვალების მიზეზი სიცივეა და კაცი, სავარაუდოდ, გაიყინა.

ცხედარი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს.

## თელავში 27 დეკემბერს ავარიაში დაღუპული ბიჭის მეგობარი გარდაცვლილი ნახეს

„როგორ დაგვწყვიტე გული, ძმაო“ — ბოლოს ასეთი პოსტი დაწერა სოციალურ ქსელში, თელავში ავარიაში დაღუპული შოთა ბოჭორიძის მეგობარმა, რომელიც გარდაცვლილი ნახეს.

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში მცხოვრები 27 წლის გიგა ტუხიშვილი ოჯახის წევრებმა 29 დეკემბერს, გვიან ღამით გარდაცვლილი იპოვეს.

ახლობლების ინფორმაციით, მეგობრები ვერ აკონკრეტებენ, რა პრობლემები ჰქონდა ახალგაზრდა კაცს და უკავშირდება თუ არა მისი გარდაცვალება 27 დეკემბერს ავარიაში დაღუპული ახალგაზრდის შემთხვევას.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## სალომე ზურაბიშვილმა მარიტა მეფარიშვილი და დევი მეზურნიშვილი თავდადებისთვის მედლით დააჯილდოვა



საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ვაკის პარკის შადრევანში დაღუპული მოზარდი, მარიტა მეფარიშვილი და მებაღე, დევი მეზურნიშვილი სამოქალაქო თავდადებისთვის დააჯილდოვა.

— მარიტა მეფარიშვილი 2022 წლის 13 ოქტომბერს თბილისში, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის დროს მეგობრების გადასარჩენად თავგანწირვისათვის, უდიდესი ჰუმანურობისა და განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის დაჯილდოვდა და სახელმწიფო ჯილდო მის ოჯახს გადაეცა.

ხოლო „ეკოსერვის ჯგუფის“ უფროსი მებაღე დევი მეზურნიშვილი 2022 წლის 13 ოქტომბერს თბილისში, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის დროს მოზარდების გადარჩენის მიზნით გამოვლენილი თავდადებისა და განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის დაჯილდოვდა“ — წერია პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## ნიკა მელია ამბობს, რომ სალომე ზურაბიშვილს შეხვდა



ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიამ ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შეხვდა.

„არა, არ უარვყოფ, — განაცხადა მელიამ.

მელიას თქმით, მას ბოლო ერთი წლის განმავლობაში სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრის შესაძლებლობა არაერთხელ ჰქონდა, თუმცა შეხვედრის დეტალებზე არ უსაუბრია.

— ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია გითხრათ ის, რისი თქმაც ყოველთვის შეიძლება, მაგრამ არის საკითხები, როდესაც შეიძლება ბოლომდე გულახდილი ვერ ვიყო, — განაცხადა მელიამ.

მისი თქმით, როგორც ჩანს, სალომე ზურაბიშვილი შექმნილ უმძიმეს რეალობას სალად აფასებს.

— მე მიხარია, როგორ ჩანს, სალომე ზურაბიშვილი აფასებს ძალიან საღად შექმნილ უმძიმეს რეალობას, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ის, ამაზე საუბარი მე არ შემიძლია. ვიტოვებ იმედს, რომ ის, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, გვქონდა მასთან დაკავშირებით, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენ პრეტენზიები არ გვქონდა, ეს ყველაფერი ახლა არის მეასეხარისხოვანი, ვგულისხმობ „ნაცმოძრაობის“ ამომრჩევლებს, მე, როგორც პარტიის თავმჯდომარეს.

ჩვენ, ყველანი ერთად უნდა ჩამოვყალიბდეთ ქვეყნის განვითარების ვექტორზე. არა მხოლოდ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური განვითარების ვექტორზე, არამედ ზოგადად, როგორები გვინდა ვიყოთ — გვინდა, რომ ვცლავდეთ კვლავ პრეზიდენტს, რომელსაც ავტომატურად მოჰყვება რკინის ფარდის ჩამოშვება და მის მიღმა აღმოჩენა ლუკაშენკოს ბელარუსსა და პუტინის რუსეთთან ერთად, თუ დეკლარირებულად უკვე ვხდებით ცივილიზებული სამყაროს ნაწილი. ეს დევს სასწორზე დღეს, — განაცხადა ნიკა მელიამ.

# პუტინის საიდუმლო გეგმა უკრაინის მიმართ



2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის არმია უკრაინაში შეიჭრა. დღეს უკვე ცნობილია, რომ არსებობდა საიდუმლო გეგმა უკრაინასთან მიმართებაში. ის შეიმუშავა რუსული სპეცსამსახურების მაღალჩინოსანთა ვიწრო ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ედგა პირადად პუტინი.

ნავარაუდევი იყო ახალი კავშირის შექმნა, რომელშიც უნდა გაერთიანებულიყვნენ რუსეთი, უკრაინა და ბელორუსი. შემდეგ მას შეუერთდებოდა მოლდოვა, უნგრეთი და გერმანია.

მარცხმა რუსები კიდევ უფრო გააბოროტა. ცეცხლზე ნავთი დაასხა იმანაც, რომ რუსები განდევნეს კიევსჩინიდან, ხარკოვსჩინიდან, ხერსონიდან. რუსულმა არმიამ მარცხი განიცადა ბახმუტთან. დაღუპული რუსი ჯარისკაცების რიცხვმა 100.000-ს გადააჭარბა.

ახალი გეგმის განსახორციელებლად აუცილებელია ხალხი. პუტინმაც რუსეთში მობილიზაცია გამოაცხადა. ჯარისკაცთა რაოდენობა 50%-ით გაიზარდა. ამას გარდა, ურალს იქით 300.000 მობილიზებულის წვრთნა მიმდინარეობს. სავარაუდოდ, მათ უკრაინის ფრონტზე გადაისვრიან.

თანახმად გეგმისა, იერიში სამი მხრიდან უნდა განხორციელდეს: 1) დონბასში, 2) ბელორუსიდან კიევზე ან ვოლინზე, 3) ყირიმიდან უკრაინის სამხრეთზე ( ხერსონი, ოდესა, ნიკოლაევი).

გეგმა ორ ეტაპად უნდა განხორციელდეს. პირველი ეტაპი ითვალისწინებს დონბასის და უკრაინის სამხრეთის (ოდესა, ხერსონი, ნიკოლაევი, ზაპოროჟიე) ოკუპაციას. ამის შემდეგ დაიდება დროებითი ზავი. რუსეთი მას არმიის გადაიარაღების დასამთავრებლად გამოიყენებს, შემდეგ კი ახალ შეტევაზე გადავა და შეეცდება კიევის დაკავებას.

რუსეთს თავისი ოქროსა და ვალუტის მარაგები 17 თვეს ეყოფა. შესაბამისად, მოსკოვი ომს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში თუ შეძლებს. პუტინმა ეს იცის და უკანასკნელი გადამწყვეტი შეტევისთვის ემზადება.

ასეთ სიტუაციაში უკრაინისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის დახმარება. როგორც ცნობილია, აშშ დათანხმდა გადასცეს უკრაინას პეტრიოტის ტიპის რაკეტები. ამის შემდეგ უკრაინა შეძლებს რუსეთის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი დარტყმების განხორციელებას. ეს შეეხება როგორც კურსკს, ვოლგოგრადს, როსტოვს, ისე მოსკოვსა და სხვა ქალაქებსაც.

– თუ რუსეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მოსკოვზე, დარტყმები განხორციელდა, ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს გამოვიყენებთ, – იმუქრება პუტინი.

რუსეთ-უკრაინის ომი უკანასკნელ, გადამწყვეტ და საშიშ სტადიაში შედის.

# როგორ სურს რუსეთს დასავლეთთან შეთანხმება?

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის აზრით, რუსეთი შემთხვევით არ ბომბავს უკრაინის ენერგოსისტემას. მოსკოვის მიზანია: ა) ზამთარში უკრაინელები დატოვოს შუქის და ბინების გათბობის გარეშე; ბ) აიძულოს უკრაინელთა დიდი ნაწილი, სამშობლოდან გადაიხვეწოს და თავშესაფარი ევროპაში ეძებოს.

– კრემლის გეგმით, უკრაინელ ემიგრანტთა რიცხვმა 8 მილიონს უნდა მიაღწიოს, – მიიჩნევს აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ბუნებრივია, ევროპა ემიგრანტების ასეთ მოძალებას ვერ გაუძლებს. დასავლეთიც, პუტინის აზრით, რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებებს დაიწყებს. უკრაინის პოზიციას ყურს არავინ დაუგდებს.

# ბახმუტზე რუსების შეტევის ტემპი შენელდა



უკრაინულმა არმიამ ბახმუტზე რუსების მორიგი შტურმი მოიგერია. მართალია, ოკუპანტებმა ბახმუტთან დამატებითი ძალები გადაისროლეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. უკრაინელებმა ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი, მათ შორის ტანკები, ქვემეხები, ნაღმმტყორცნები.

ოკუპანტების შეტევები ბახმუტზე შენელდა. მიუხედავად ამისა, ბახმუტი და საერთოდ დონეცკის ოლქი ფრონტის ყველაზე რთულ უბნად რჩება.

მტერი კვლავ ცდილობს ავდეევკას ალყა შემოარტყას. მცდელობები წარუმატებელია. რაც შეეხება სოლედარს, აქ ბრძოლები არ წყდება. გააფთრებული ბრძოლებია მარინკასთანაც. უკრაინულმა არმიამ მთლიანად გაათავისუფლა მარინკის ცენტრი. პასუხად რუსმა ოკუპანტებმა ქალაქს ქვემეხები დაუშინეს. მარინკა ცეცხლშია გახვეული.

ბახმუტი, ავდეევკა, მარინკა, სოლედარი ფრონტის ყველაზე ცხელი უბნებია. მართალია, ბახმუტზე შეტევები შენელდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. მდგომარეობა მძიმეა.

# რუსეთი უკრაინას ბომბავს

დროებით ოკუპირებულ უკრაინის სამხრეთ ნაწილში პარტიზანები გააქტიურდნენ. ქალაქ ენერგოდარში (ზაპოროჟიეს მახლობლად) აფეთქებები არ წყდება. მოკლულია 2.000-მდე რუსი ჯარისკაცი. ქალაქში დამატებითი რუსული ძალების შეყვანა გახდა საჭირო. მიმდინარეობს ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი ჩხრეკა – დაპატიმრებები. მიუხედავად ამისა, ამან საქმეს ვერ უშველა.

დაძაბული ვითარებაა დროებით ოკუპირებულ ბერდიანსკშიც. რუს ჯარისკაცებზე თავდასხმებმა იმდენად მასორივი ხასიათი მიიღო, რომ ოკუპანტებს უფლება მისცეს, ქალაქში სამოქალაქო ტანსაცმლით გადაადგილებულიყვნენ.

პასუხად რუსეთმა გააძლიერა უკრაინის დაბომბვა. მიმდინარეობს უკრაინული კრიტიკული ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული განადგურება. დაიბომბა სუმის, ხერსონის, ხარკოვის, დნეპრის, კიევის, ლვოვის ოლქები. დაღუპულია მშვიდობიანი მოსახლეობა.

## ორბანის სკანდალური განცხადება



უნგრეთის პრემიერმა ორბანმა მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ უკრაინის ნატოში შესაძლო გაწევრიანება თურმე საშიშია.

– ჩვენ მესამე მსოფლიო ომის მიჯნაზე ვდგავართ! მიზეზი უკრაინა-ნატოს დაახლოებაა! – ამტკიცებს ორბანი.

## ოდესაში ეკატერინე მეორეს ძეგლი აიღეს

ოდესაში რუსეთის იმპერატრიცის ეკატერინე მეორეს ძეგლი აიღეს. ამის თაობაზე იტყობინება რტრ-ი.

ეკატერინე მეორეს სახელთან დაკავშირებულია ჰაიდამაკთა აჯანყების ჩახშობა და მარჯვენა ნაპირის უკრაინის ანექსია, ჰეტმანატის საბოლოო გაუქმება, ზაპოროჟიეს სეჩის გაუქმება და ზაპოროჟიელი კაზაკების ყუბანზე გადასახლება, უკრაინაში რუსული ბატონყმობის დანერგვა.

## რუსმა ოკუპანტებმა ხერსონი დაბომბეს

ხერსონის ოლქში პოზიციური ბრძოლებია. რუსმა ოკუპანტებმა ხერსონს ქვემეხები დაუშინეს. პასუხმაც არ დააყოვნა. უკრაინელებმა დაბომბეს ოკუპანტების თავშეყრის ადგილი ხერსონის ოლქში დნეპრის მარცხენა სანაპიროზე.

## უკრაინულმა არმიამ ფრონტი გაარღვია

უკრაინულმა არმიამ სვატოვო-კრემენოეს მიდამოებში (ლუგანსჩინა) ფრონტის გარღვევა შეძლო. ამის თაობაზე აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი იუწყება.

– რუსები ისეთსავე სიტუაციაში აღმოჩნდნენ, როგორც ხერსონთან, – აცხადებს აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ბრძოლები უკვე კრემენოეს ქუჩებში მიმდინარეობს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*


## განცხადებები

- მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


სპორტი

# ბელა ხოტენაშვილი მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვე ადგილზე გავიდა



ყაზახეთის ქალაქ ალმათიში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში. ქართველთაგან ტურნირში 7 ქალი და 3 კაცი მონაწილეობდა.

ქალთა შორის სხვებზე უკეთ ბელა ხოტენაშვილმა იასპარეზა, ქართველი დიდოსტატი ბოლო ტურში მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონს, სწრაფ ჭადრაკში წინა წლის ჩემპიონატის გამარჯვებულ ალექსანდრა კოსტენიუკს დაუზავდა, 11 შესაძლებლობიდან 7.5 ქულით მე-8 ადგილზე გავიდა. მე-11 ადგილზე ნინო ბაციაშვილი გავიდა, ვის აქტივშიც 7 ქულა იყო. ასევე 7-7 ქულით მე-20 იყო ნანა ძაგნიძე, მერი არაბიძე – 22-ე. ლელა ჯავახიშვილი (5.5) – 52-ე; სოფიო ტერელაძე (5) – 61-ე; სოფიო გვეტაძე (4.5) – 69-ე.

ქალთა შორის საინტერესო გამოდგა ფინალი: თერთმეტი ტურის შემდეგ 8.5-8.5 ქულა მოაგროვეს ჩინელმა თან ჩჟუნმა და ყაზახმა დინარა სადუაკასოვამ. დებულების თანახმად, უძლიერესის გამოსავლენად ტაიბრეიკი დაინიშნა. ელვისებურ ჭადრაკში პირველი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, მეორე პარტია კი ჩინელმა მოიგო და სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ვერცხლის მედალი სადუაკასოვას ერგო. 8 ქულით მესამე ადგილზე ინდოელი შრი სავიტა გავიდა,

ვაჟთა ტურნირში 8 ტურის შემდეგ გიგა ყუფარაძე ლიდერებში ტრიალებდა, მაგრამ დარჩენილ ხუთ ტურში მხოლოდ ერთი ქულა (2 ყაიმი, 3 მარცხი) აიღო და 7 ქულით მხოლოდ 55-ე ადგილით დაკმაყოფილდა. ლევან ფანცულაიამ ასევე 7 ქულით 75-ე ადგილი დაიკავა. ბაადურ ჯობავა ტურნირს ცხრა ტურის შემდეგ გამოეთიშა.

აქ ჩემპიონი ნორვეგიელი ლეგენდა მაგნუს კარლსენი გახდა, რომელმაც 13 ტურში 10 ქულით ყველას აჯობა. 9.5-9.5 ქულით, 2-3 ადგილები 18 წლის გერმანელმა ვინსენტ კეიმერმა და ამერიკელმა ფაბიანო კარუანამ გაინაწილეს.

## შედეგები

28 დეკემბერი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ლიდსი-სიტი ........ 1:3

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 15 | 13 | 1 | 1 | 36-12 | 40 |
| 2.სიტი | 15 | 11 | 2 | 2 | 43-15 | 35 |
| 3.ნიუკასლი | 16 | 9 | 6 | 1 | 32-11 | 33 |
| 4.ტოტენჰემი | 16 | 9 | 3 | 4 | 33-23 | 30 |
| 5.მანჩესტერი | 15 | 9 | 2 | 4 | 23-20 | 29 |
| 6.ლივერპული | 15 | 7 | 4 | 4 | 31-18 | 25 |
| 7.ბრაიტონი | 15 | 7 | 3 | 5 | 26-20 | 24 |
| 8.ჩელსი | 15 | 7 | 3 | 5 | 19-17 | 24 |
| 9.ფულემი | 16 | 6 | 4 | 6 | 27-26 | 22 |
| 10.ბრენტფორდი | 16 | 4 | 8 | 4 | 25-27 | 20 |
| 11.კრ.პალასი | 15 | 5 | 4 | 6 | 15-21 | 19 |
| 12.ასტონ ვილა | 16 | 5 | 3 | 8 | 17-25 | 18 |
| 13.ლესტერი | 16 | 5 | 2 | 9 | 25-28 | 17 |
| 14.ბორნმუთი | 16 | 4 | 4 | 8 | 18-34 | 16 |
| 15.ლიდსი | 15 | 4 | 3 | 8 | 23-29 | 15 |
| 16.ვესტ ჰემი | 16 | 4 | 2 | 10 | 13-20 | 14 |
| 17.ევერტონი | 16 | 3 | 5 | 8 | 12-19 | 14 |
| 18.ვულვზი | 16 | 3 | 4 | 9 | 10-25 | 13 |
| 19.ნოტინგემი | 16 | 3 | 4 | 9 | 11-33 | 13 |
| 20.საუთჰემპტონი | 16 | 3 | 3 | 10 | 14-30 | 12 |

### საფრანგეთი. ლიგა 1

აიაჩო-ანჟე ........ 1:0
ტრუა-ნანტი ........ 0:0
ოსერი-მონაკო ........ 2:3
კლერმონი-ლილი ........ 0:2
ბრესტი-ლიონი ........ 2:4
პსჟ-სტრასბური ........ 2:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 16 | 14 | 2 | 0 | 45-10 | 44 |
| 2.ლანსი | 15 | 11 | 3 | 1 | 26-10 | 36 |
| 3.რენი | 15 | 9 | 4 | 2 | 31-14 | 31 |
| 4.მარსელი | 15 | 9 | 3 | 3 | 26-13 | 30 |
| 5.მონაკო | 16 | 9 | 3 | 4 | 32-23 | 30 |
| 6.ლილი | 16 | 9 | 2 | 5 | 29-23 | 29 |
| 7.ლორიანი | 15 | 8 | 4 | 3 | 26-21 | 28 |
| 8.ლიონი | 16 | 7 | 3 | 6 | 27-20 | 24 |
| 9.ნიცა | 15 | 5 | 5 | 5 | 15-17 | 20 |
| 10.კლერმონი | 16 | 5 | 4 | 7 | 19-25 | 19 |
| 11.რეიმსი | 15 | 3 | 8 | 4 | 16-21 | 17 |
| 12.ტულუზა | 15 | 4 | 4 | 7 | 20-27 | 16 |
| 13.ტრუა | 16 | 3 | 6 | 7 | 26-31 | 15 |
| 14.აიაჩო | 16 | 4 | 3 | 9 | 15-24 | 15 |
| 15.მონპელიე | 15 | 4 | 2 | 9 | 24-29 | 14 |
| 16.ნანტი | 16 | 2 | 8 | 6 | 17-24 | 14 |
| 17.ბრესტი | 16 | 3 | 4 | 9 | 18-32 | 13 |
| 18.ოსერი | 16 | 3 | 4 | 9 | 16-34 | 13 |
| 19.სტრასბური | 16 | 1 | 8 | 7 | 18-28 | 11 |
| 20.ანჟე | 16 | 2 | 2 | 12 | 15-35 | 8 |

### პორტუგალია. პრემიერ ლიგა

პორტიმონენსე-კასა პია ........ 1:2
პორტუ-აროუკა ........ 5:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ალანია-ქაისერი ........ 3:1
ისთანბული-ქაშინფაშა ........ 2:1
ქარაგუმრუქი-ტრაბზონი ........ 4:1

### შოტლანდია. პრემიერლიგა

დ.იუნაიტედი-როსი ........ 3:0
კილმანროკი-აბერდინი ........ 2:1
ლივინგსტონი-სტ.მირენი ........ 1:1
რეინჯერსი-მოზერველი ........ 3:0
სტ.ჯონსონი-ჰართსი ........ 2:3
ჰიბერნიენი-სელტიკი ........ 0:4

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# მაიმუნმა ფულით სავსე ჩანთა მოიპარა და კლდიდან გადააგდო



ტაილანდის სისაკეტის პროვინციაში მდებარე კაო პხრა ვიხანის ეროვნულ პარკში მაიმუნმა ტურისტს მოჰპარა ჩანთა, რომელშიც საკმაოდ მსხვილი თანხა ედო და კლდიდან ხრამში მოისროლა.

55 წლის ტურისტმა ქალმა დახმარებისთვის რეინჯერებს მიმართა. მან განაცხადა, რომ მაიმუნმა ჩანთა გასტაცა, გაჩხრიკა, როგორც ჩანს, მასში საჭმელს ეძებდა და შემდეგ კლდიდან გადააგდო. მისი თქმით, ჩანთაში ედო საბუთები, პირადი ნივთები და 50 ათასი ბატი ნაღდი ფული.

ჩანთის ამოსატანად რეინჯერები 100 მეტრის სიღრმის ხრამში ჩაეშვნენ. იმისთვის, რომ ისინი ძვირფასი ნივთების მითვისებაში არ დაედანაშაულებინათ, მთელი პროცესის სოციალურ ქსელებში პირდაპირ ტრანსლაციას გაუკეთეს ორგანიზაცია. ქალის ხელჩანთის გარდა, იქ მათ ასევე იპოვეს სხვადასხვა ნივთი, რომლებიც, როგორც ჩანს, ასევე მაიმუნის მიერ იყო გატაცებული და გადაყრილი. რეინჯერებმა ადგილზე ნაპოვნი ყველა ნივთი მოაგროვეს და ამოიტანეს, რათა მათი პატრონები იპოვონ და დაუბრუნონ.

ეროვნული პარკის ხელმძღვანელის განცხადებით, ამ ადგილებში გარეული მაიმუნები აგრესიულობით გამოირჩევიან და გამუდმებით ჰპარავენ ნივთებს ტურისტებს. პარკის თანამშრომლები ტურისტებს ურჩევენ, მეტი ყურადღება გამოიჩინონ საკუთარი ნივთების მიმართ და მაიმუნებს საკვებით არ გაუმასპინძლდნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ხვიჩა კვარაცხელია: „როდესაც მარადონას სახელის თუნდაც მცირე ნაწილი შენთან ასოცირდება, ეს დიდი პატივია“

**საქართველოს ნაკრებისა და ნაპოლის ფეხბურთელის ხვიჩა კვარაცხელიას პოპულარობა კიდევ უფრო იმატებს. ქართველ ფეხბურთელთან ინტერვიუ ტელეკომპანია დაზნ-მა ჩაწერა, სადაც ჩვენებური ბევრ საინტერესო თემაზე საუბრობს.**

***– შეუძლია მოწინააღმდეგეს თქვენი დრიბლინგების შესწავლა?***

– საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობ, ხშირად ვცდილობ ახალი რაღაცები, მოძრაობები ვისწავლო და უფრო არაპროგნოზირებადი გავხდე. რასაც ჩემზე შეისწავლიან, უკვე მოძველებული იქნება და არ გამოადგებათ.

***– რომელია თქვენი საყვარელი მეტსახელი?***

– ყველა ძალიან კარგი და სასიამოვნოა, მაგრამ როდესაც მარადონას სახელის თუნდაც მცირე ნაწილი შენთან ასოცირდება, ეს დიდი პატივია და განსხვავებულ ემოციებს ქმნის, სიამაყით მავსებს. დღეს, „კვარადონა“ ნამდვილად ჩემი ფავორიტი მეტსახელია.




***– ელოდით, რომ ასეთ მცირე დროში, იტალიაში მსგავს გავლენას მოახდენდით?***

– ვერ გეტყვით, ველოდი თუ არა, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებდი, რომ ეს მომხდარიყო. ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა. თუ ყველაფერი კარგად წავა, უფრო მეტიც შესაძლებელია. ყველაფერს ვაკეთებ გუნდისთვის, დანარჩენს გულშემატკივრები აფასებენ, რომლებსაც მხარდაჭერისთვის ყოველთვის დიდ მადლობას ვუხდი.

***– როგორი იყო ნაპოლის ფეხბურთელის პირველი დაბრუნება საქართველოში?***

– საქართველოში ფეხბურთი ყველას უყვარს, ყველა ფეხბურთელს და ყველა სპორტსმენს დიდ პატივს სცემენ. ამიტომ, სიყვარულის მიღება ადვილია. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ, მას შემდეგ, რაც აქ ვთამაშობ, ბევრმა ქართველმა ნაპოლის გულშემატკივრობა დაიწყო. საქართველო ჩემი ქვეყანაა და მინდა ყველამ იცოდეს, რომ საქართველოში ფანტასტიკური ხალხი ცხოვრობს.

***– მართალია, რომ ნაპოლის თამაშებს თბილისში ყველა უყურებს?***

– დიახ, ასე ხდება. როდესაც ნაპოლი თამაშობს, თბილისში ლოქდაუნია გამოცხადებული.

***– ბავშვობაში გიფიქრიათ, რომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდებოდით?***

– ჯერ კიდევ შორს ვარ ამ სტატუსიდან, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის. ყოველ შემთხვევაში, ბავშვობაში არ ველოდი, რომ ამ დონეზე ვიქნებოდი. როდესაც პატარა ქვეყნიდან ხარ, ძალიან რთულია ეს იფიქრო. ჩემი ოცნება იყო ტოპკლუბში თამაში, როგორიც ნაპოლია. თუმცა, ჯერ კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი ბევრი მიზნის მისაღწევად.

***– ლივერპულის წინააღმდეგ ევროპამ დაინახა, რომ შესანიშნავი ფეხბურთელი ხართ.***

– როდესაც იცი, რომ ჩემპიონთა ლიგაზე პირველი თამაში ლივერპულთან იქნება, ეს ნამდვილად დიდი პასუხისმგებლობაა და მოტივაციას გმატებს, რადგან ისტორიულ სტადიონზე და დიდი ფეხბურთელების წინააღმდეგ უნდა ითამაშო. თუმცა, როდესაც მოედანზე ვარ, ყველა მატჩში მაქსიმუმს ვაკეთებ, მიუხედავად მეტოქეთა მაისურზე დაწერილი სახელებისა და მათი კარიერისა. რა თქმა უნდა, პატივია ასეთ ცნობილ და ძლიერ ფეხბურთელებთან დაპირისპირება, მაგრამ ვფიქრობ, ნებისმიერთან შეგვიძლია თანაბარ დონეზე თამაში.

***– ყველაზე ძლიერი მცველი, ვისთანაც გითამაშიათ.***

– არ შემიძლია ერთი დავასახელო, მაგრამ ყოველთვის ძალიან რთულია ვარჯიშებზე დი ლორენცოსთან თამაში, ის მართლაც შესანიშნავი მცველია, ძალიან ძლიერი და დიდებული ფეხბურთელი.

***– კრიშტიანუ გირჩევნიათ თუ მესი?***

– 7 არის ჩემი საყვარელი ნომერი, როგორც კრიშტიანუს და 77 ნომერიც ამიტომ ავირჩიე. ყოველთვის ვამბობდი, რომ მათი შედარება რთულია. რონალდუს იმიტომ ვაფასებ, რომ ამდენი ხნის მანძილზე მესისნაირი კონკურენტი ჰყავდა და თითქმის ყოველთვის ერთ დონეზე იდგა, რაც ძალიან რთულია. ამიტომ არის რონალდუ ჩემი კუმირი. რა თქმა უნდა, მესი ფანტასტიკური ფეხბურთელია და ყოველთვის სასიამოვნოა მისი თამაშის ყურება.

***– ვინ იყო თქვენი ინსპირაცია?***

– მამაჩემი ფეხბურთელი იყო და ვფიქრობ, ფეხბურთის სიყვარული მან გადმომცა. მაგრამ ფეხბურთს იმიტომ ვთამაშობდი, რომ მომწონდა. მთელი დღე ქუჩაში მეგობრებთან ერთად თამაში სახალისო იყო. როცა პატარა ვიყავი, ჩემი ფავორიტი გუტი იყო, ყოველთვის ვუყურებდი და მომწონდა მისი თამაში, უკვე დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ როცა მისი გულშემატკივრობა დავიწყე, მალევე კარიერა დაასრულა. გუტის შემდეგ ჩემი რჩეული რონალდუ გახდა.

***– მართალია, რომ თბილისის დინამოში მუშაობის მეთოდები ბარსელონას მწვრთნელებმა დანერგეს?***

– დიახ, პატარა რომ ვიყავი, აკადემიაში ესპანელი მწვრთნელები მოვიდნენ, რომელთა წყალობითაც ბევრი ახალი რაღაც ვისწავლეთ. აკადემია ახლაც მოწინავეა. მათგან ბევრი ვისწავლეთ ტექნიკურად, ტაქტიკურად და მოტივაციის დონეზე, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი, ჩვენთვის ბევრი გააკეთეს.

***– საქართველოს ნაკრების ყველა დროის ბომბარდირმა, შოთა არველაძემ თქვა, რომ თქვენი უმცროსი ძმა უფრო ნიჭიერია. ეს სიმართლეა?***

– დიახ, მართალია. თუმცა, მან ჯერ ყველაფერი უნდა დაამტკიცოს, ჯერ კიდევ ბევრი იმუშაოს და ივარჯიშოს. ყველანაირი უნარი აქვს, რომ ჩემზე ძლიერი გახდეს. დიდი იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება.

***– რა პოზიციაზე თამაშობს?***

– ჩემსავით მარცხენა ფლანგზე, მაგრამ მარჯვნივ და თავდამსხმელადაც თამაში შეუძლია.

***– სპალეტი ხანდახან გსაყვედურობდათ, რომ პასს არ აძლევდით თანაგუნდელებს და ზედმეტად ინარჩუნებდით მას. ეს ასპექტი უნდა გამოასწოროთ?***

– რა თქმა უნდა, თუ მწვრთნელი რაღაცას გეტყვის, უნდა იმუშაო, ეს მისი ფუნქციაა და ყველა ფეხბურთელმა მწვრთნელებისგან უნდა ისწავლოს.

***– როგორი ურთიერთობა გაქვთ სპალეტისთან?***

– ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ სხვა ფეხბურთელებთანაც ასეთივე ურთიერთობა აქვს. ის ძალიან ღია ადამიანია.

***– ვინ არის ფეხბურთელი, რომელთანაც გუნდში ყველაზე ახლო ურთიერთობა გაქვთ?***

– კონკრეტულად ერთს ვერ გამოვარჩევ, ყველანი კარგი ბიჭები არიან, ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ასევე ყველა ფეხბურთელს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვს, თითქოს დიდი ოჯახი ვართ. ყველამ ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემს ადაპტაციაში, გუნდში ძალიან კარგად მიმიღეს და არ ველოდი, ამისთვის ძალიან მადლობელი ვარ.




***– მოედანზე ყველაზე მეტად რომელი ფინტი მოგწონთ?***

– სიტუაციაზეა დამოკიდებული, ყოველი მომენტი განსხვავებულია და კონკრეტულად ერთს ვერ გამოვარჩევ.

***– თუმცა, ხშირად მეტოქეს ბურთს ფეხებშორის უძვრენთ. ბავშვობაში ისწავლეთ?***

– არა, ეს არ არის ის, რაც შეიძლება ვარჯიშზე ისწავლო. თუ ხვდები, რომ ამის გაკეთება მოცემულ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალია და ამის საშუალება არსებობს, მაშინ, დიახ, ვცდილობ ასე ვითამაშო. თუმცა, ეს მომენტზეა დამოკიდებული, მაგრამ ამაზე არასდროს მივარჯიშია.

***– რა იფიქრეთ, როცა თქვენით ნაპოლი დაინტერესდა?***

– ნაპოლისთან მოლაპარაკებები დიდხანს გაგრძელდა, დაახლოებით 2 წელი. ძალიან გამიხარდა, რომ ასეთი დიდი გუნდი ჩემით დაინტერესდა. ერთი სული მქონდა ნაპოლის მაისური ჩამეცვა.

***– იმ დროს სხვა იტალიური გუნდებიც გაკვირდებოდნენ?***

– ზუსტად არ ვიცი, დროდადრო იყო სხვა გუნდების ინტერესიც, მაგრამ ნაპოლიდან შეთავაზების მიღების შემდეგ სხვა გუნდებზე არ მიფიქრია. ნაპოლიში თამაში მინდოდა.

***– რატომ გინდოდათ სწორედ ნაპოლიში თამაში?***

– პირველ რიგში, გუნდის გამო, რადგან აქ შესანიშნავი ფეხბურთელები არიან. როდესაც მათ მატჩებს ვუყურებდი, ვფიქრობდი, რომ ამ ტიპის თამაშთან ადაპტირება შესანიშნავად შემეძლო. ძალიან მომწონდა მათი თამაში და ასეც მოხდა. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ მეც ნაპოლის ფეხბურთელი ვარ.

***– რას ფიქრობთ ქალაქზე?***

– ნეაპოლი გასაოცარი ქალაქია თავისი სილამაზით და ნეაპოლელებიც განსაკუთრებული ხალხია. ეს ქალაქი ფეხბურთის სიყვარულით ცხოვრობს, ნეაპოლში ფეხბურთი ყველამ იცის! როდესაც ფეხბურთელი ხარ, მოტივაციაა მთელი ქალაქის მხარდაჭერა და სიყვარულის გადმოცემა. ჩემთვის ეს ქალაქი სიყვარულია.

***– სპალეტიმ თქვა, რომ მორცხვი ხართ?***

– არ ვიცი, არ მგონია, რომ მორცხვი ვარ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ზედმეტი ყურადღების ცენტრში ყოფნა არ მიყვარს.

***– სტეფ კარის სტილში ისევ აღნიშნავთ გოლს?***

– ეს ყველაფერი განწყობაზეა დამოკიდებული, წინასწარ არ ვიცი, რას გავაკეთებ გოლის შემდეგ.

***– ვინ არის ფეხბურთის სტეფ კარი?***

– კრიშტიანუ რონალდუ.

***– ახლაც?***

– დიახ.

***– მბაპე, არა?***

– არა, მთელი ბავშვობა კრიშტიანუ რონალდუს ვუყურებდი და ახლაც ვაგრძელებ. სანამ ის ფეხბურთშია, ასე იქნება.

***– რას ნიშნავს გოლის აღნიშვნის თქვენეული სტილი?***

– ეს მხოლოდ ჩემი საცოლის სახელის პირველი ასოა.

***– ცრურწმენაა?***

– არა.

***– სკუდეტოზე ფიქრობთ?***

– ჯერ ბევრი დრო გვაქვს წინ და ბევრი თამაში უნდა ჩავატაროთ. ჩვენთვის ყველა თამაში ფუნდამენტურია და, ცხადია, ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ.

***– გჯერათ, რომ მოიგებთ სკუდეტოს?***

– რა თქმა უნდა! ყოველ ჯერზე, როცა მოედანზე გავდივართ, ამას გამარჯვებისთვის ვაკეთებთ და დრო გვიჩვენებს, რა მოხდება.

***– იტალიურად ან ნეაპოლიტანურად რამე ისწავლეთ?***

– რაღაცები ვისწავლე, ნელნელა ვსწავლობ იტალიურს.

***– საყვარელი სიტყვა იტალიურად?***

– ფორცა ნაპოლი.

***– საყვარელი იტალიური კერძი?***

– პასტა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## სამგლოვიარო განცხადებები



სოსო ნაყოფია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ყრმობის მეგობრის

**ანზორ ვლადიმირის ძე ბიგვავას**

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს – მეუღლე ელიკო კვარაცხელიას, შვილ ბადრის, რძალ ელისო სოსელიას, შვილიშვილ ანზორს.

დაკრძალვა: 31 დეკემბერს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ელექტროტექნიკური პროდუქტის მწარმოებელი ჩინური კომპანია; 2. სიმღერის შესრულება აკომპანიმენტის გარეშე; 3. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 4. ლათინური ამერიკიდან აშშ-ში არალეგალურად შემოსული მუშახელის სახელწოდება; 8. ჯალათის სახელწოდება ძველად საქართველოში; 9. მართული აეროსტატი; 11. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით კილაძის მუსიკაზე შექმნილი ქართული ბალეტი; 12. ბებერი თხა; 14. ქალაქი ჩეხეთში; 16. მსოფლიოში მოპოვებული, ყველაზე დიდი ალმასი; 17. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 19. კომპანია „სონის“ დამფუძნებელი; 21. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი.

**თარაზულად:** 5. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 6. ცუდი გუნებაგანწყობილება; 7. ცეცხლსასროლი იარაღი; 10. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბრიტანული მეტალურგიული კონცერნი; 15. ბიჭვინთაში ქანდაკება „ზღვა“-ს ავტორი, ქართველი სკულპტორი; 18. შეძლებულ გლეხთა სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 20. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 22. საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 23. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 24. წყალში გაზავებული სახატავი საღებავი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. არღანი; 2. სადაფი; 3. როდეო; 5. გუჩი; 6. ნაპოლი; 8. სტურუა; 11. ფრენბურთი; 13. არომატი; 14. კალმახი; 15. სისტემა; 19. დილა.

**თარაზულად:** 1. ალადასტური; 4. შამგონა; 7. ღერღედი; 9. ეპატაჟი; 10. ოფოფი; 12. ბოროდინი; 16. ხანჯლური; 17. ბოჰემია; 18. ამარკორდი; 20. თავთუხი; 21. აისი; 22. ჟორდანია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლომისა; 2. აგვისტო; 3. ჯაბახანა; 4. პროგრესი; 8. კეტაშვილი; 9. ტაბაწყური; 11. კრახუნა; 12. აბიო; 14. ელია; 16. ჩხოროწყუ; 17. ზაკოპენე; 19. არენდა; 21. ცურვა.

**თარაზულად:** 5. პანორამა; 6. ავადჰარა; 7. ექსპანსია; 10. ჩარექა; 13. რებუსი; 15. მისხალი; 18. ჩხეიძე; 20. ბაროკო; 22. მზეჭაბუკი; 23. ჭყონდიდი; 24. ავტობანი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7103

ევრო — 2.8832

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2621

100 რუსული რუბლი — 3.7504

## ამინდის პროგნოზი 30 დეკემბრისათვის




# მბაპემ პსჟ-ს გამარჯვება მოუტანა



პსჟ-მ საკუთარ მოედანზე სტრაბურგი დაამარცხა 2:1 და გადამწყვეტი გოლი შეხვედრის ბოლო წუთზე კილიან მბაპემ გაიტანა, რომელმაც მოიპოვა პენალტი და შემდეგ ის გოლად აქცია. აღსანიშნავია, რომ ნეიმარი გააძევეს, რომელმაც მეორე ყვითელი ბარათი სიმულაციის გამო მიიღო და მან მოედანი დროზე ადრე დატოვა. მატჩის შემდეგ მბაპემ თქვა, რომ მან მსოფლიო ჩემპიონატი დაივიწყა და მთლიანად პსჟ-ზე არის კონცენტრირებული.

# ხავი: „ესპანიოლთან იოლი მატჩი არ გვექნება“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავიმ ესპანიოლთან შეხვედრაზე ისაუბრა, რომელიც, 31 დეკემბერს გაიმართება და თქვა, რომ მის გუნდს იოლი მატჩი არ ელის. ხავის აზრით, ესპანიოლი მოედანზე თავს არ დაზოგავს: „ესპანიოლის ტიპის გუნდები ყოველთვის სახიფათოები არიან, რადგან მათ იციან, როდის შეგიქმნან პრობლემები. ჩვენ ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ და მათ არ მივცეთ საშუალება, რომ ტაქტიკურად გვაჯობონ“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# იუმორი

ქალი კაცს ეკითხება:

– თქვენ, მამაკაცები, რატომ ვერ იგებთ, რა გვსურს ქალებს?

– და თქვენ თუ იცით, რა გვსურს კაცებს?

– რა თქმა უნდა!

– მერე, რატომ არ აკეთებთ?

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– გეპატიჟებით რომანტიკულ ვახშამზე, რომელიც შემდეგ ნელ-ნელა საუზმეში გადაიზრდება!

– თქვენ რა, გააფრინეთ?! მთელი ღამე ჭამაში უნდა გავატაროთ?!

•••

მამა შვილს ეკითხება:

– შვილო, გაკვეთილები მოამზადე?

– არა.

– მაშინ, რატომ დაწექი დასაძინებლად?

– რაც უფრო ნაკლები იცი, უფრო მშვიდად გძინავს!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, სამოთხეში ქალები და კაცები ცალ-ცალკე არიან?

– რაღა თქმა უნდა, თორემ მაშინ ის რაღა სამოთხე იქნება!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ზურა ყიფშიძე ეპოქის მსახიობად დაასახელეს



თეატრისა და კინოს მსახიობი ზურა ყიფშიძე ეპოქის მსახიობად დაასახელეს. ეს წოდება მან დაჯილდოების ცერემონიალზე „საქართველოს წარმატებული სახე 2022“-ზე მიიღო, რომელიც წელს პირველად ჩატარდა.

ლიცენზირებული პროექტის საავტორო უფლების მფლობელი, პროექტის წარმდგენი და ორგანიზატორი გიორგი მასხულიაა.

„საქართველოს წარმატებული სახე 2022“-ის ნომინანტები იყვნენ: ზურა ყიფშიძე – ეპოქის მსახიობი, სოფო სართანია – წლის წარმატებული ბიზნესლედი, ნანა ჯიქია – წლის საუკეთესო რექტორი, ეკა ბესელია – ათწლეულის საუკეთესო პოლიტიკოსი ქალი, პაატა შავაძე – წლის საუკეთესო ადვოკატი, ასმათ ტყაბლაძე – ეპოქის წარმატებული მსახიობი, შალვა ნათელაშვილი – წლის პოლიტიკოსი, სოფო ბედია – წლის საუკეთესო მომღერალი ქალი, კახა სამნიაშვილი – წლის წარმატებული თერაპევტი, ნანა ცინცაძე – ათწლეულის საუკეთესო პოეტი, ლეილა ლეგაშვილი – ათწლეულის საუკეთესო ხელოვანი, ბელა ალანია – წლის წარმატებული მწერალი, მაია ხოფერია – წლის წარმატებული მწერალი, ნატალია კვანტალიანი – წლის წარმატებული ბიზნესლედი, ნათია ბუბუტეიშვილი – წლის საერთაშორისო ტურიზმაგენტი, ინდირა ჯგერნაია – წარმატებული მომღერალი, სუზი ბიგვავა – წლის წარმატებული კოსმეტოლოგი, თინა სამყურაშვილი – წლის წარმატებული ბიზნესლედი, ქრისტი ყიფშიძე – ქართული პოდიუმის დედოფალი, მზია ზაქარიაძე – წლის წარმატებული დიზაინერი, სოფიკო კალანდია – წლის წარმატებული დიზაინერი, თამუსია სოხაძე – წლის წარმატებული არტ დიზაინერი, მანანა თოდაძე – ეპოქის მომღერალი, თამუნა ამონაშვილი – წლის საუკეთესო მომღერალი, გიგა ბატკუაშვილი – წლის წარმატებული რადიო წამყვანი, თეა ონიანი – წლის წარმატებული ექიმ კოსმეტოლოგი, მაია ხოფერია – წლის წარმატებული მწერალი, ზალიკო კოჭლამაზაშვილი – წლის წარმატებული ექიმი, ლულუ სახამბერიძე – წლის წარმატებული დიზაინერი, კახაბერ ჩხატარაიშვილი – წლის წარმატებული ფერმწერი, მანანა ნიორაძე – ეპოქის ბალერინა, აჩიკო მეფარიძე – წლის გემოვნებიანი მომღერალი, გიორგი აზნაური – წლის წარმატებული მსახიობი, ლეილა ლეგაშვილი – წლის წარმატებული ხელოვანი, ატელიე დრეს რუმი – წლის წარმატებული ბრენდი, მანონი მაქაცარია – წლის საუკეთესო ხატმწერი, მია თავდგირიძე – წლის ბიუთი არტისტი, ნუცა შანშიაშვილი – ჯაზ დივა არტ ხელოვანი, ია ტომფსონი – წლის სილამაზის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# სალომე ჭაჭუა ირლანდიის „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ისევ მონაწილეობს



მოცეკვავე სალომე ჭაჭუა ირლანდიის „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეორე სეზონშიც მიიღებს მონაწილეობას.

პროექტის მეორე სეზონის მონაწილეთა ფოტოები უკვე გავრცელდა.

სალომე აქტიურად არის ჩართული ირლანდიის „ცეკვავენ ვარსკვლავებში“, ის თავის მეწყვილეს ცეკვებს თავად უდგამს. პროექტის გარდა, სალომეს ირლანდიაში სხვა შეთავაზებებიც აქვს, რომელთა შესახებ საჯაროდ საუბარი მოცეკვავეს ჯერჯერობით არ სურს.

# მერაბ ნინიძის „ექიმი ბალუზის“ ჩვენება 7 იანვრიდან დაიწყება



ქართველი მსახიობის მერაბ ნინიძის მონაწილეობით გადაღებული გერმანული სერიალი „ექიმი ბალუზი“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში 7 იანვრიდან დაიწყება.

სერიალის მთავარი გმირი ექიმია, რომელსაც ცხოვრებისეული გამარჯვებებითა და დამარცხებებით მაყურებელი საინტერესო ლაბირინთებში დაჰყავს.

ქართველი მსახიობი გერმანულ ტელენოველაში კლინიკის მთავარი ექიმის როლს ასრულებს. მერაბ ნინიძის გმირი არაორდინარული ხერხებით საკუთარ გუნდთან ერთად პაციენტებისა და საკუთარი წარსულის მკურნალობას და გადარჩენას ცდილობს.

# დავით არჩვაძემ სამაჩაბლოს სიმღერა მიუძღვნა



მომღერალმა და კომპოზიტორმა დავით არჩვაძემ სამაჩაბლოს სიმღერა მიუძღვნა, რომელიც პეტრე კოლხის ლექსზე შექმნა:

– ყოველთვის ოცნებად მქონდა სამაჩაბლოს თემაზე სიმღერის შექმნა და აი ისიც. ჩვენი, საქართველოს დაკარგული ტერიტორიების ტკივილით სიმღერად ამოთქმული სევდაა ეს სიმღერა პირადად ჩემი მხრიდან პეტრე კოლხის ლექსზე. სამაჩაბლოდან 2-ჯერ დევნილი მომღერლისთვის თინათინ ჭულუხაძისთვის შეიქმნა ეს სიმღერა და ყველაზე ლოგიკურად ეს სიმღერა შესრულდა ანსამბლთან „ლიახვი“. დიდი მადლობა გორის მუნიციპალიტეტს ამ ჩვენი მუსიკალური პროექტის მხარდაჭერისთვის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალმა საუკეთესოები დააჯილდოვა




თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის საერთაშორისო ჟიურიმ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები გამოავლინა.

ჟიურის სპეციალური პრიზი „განსაკუთრებული აღნიშვნა“ გადაეცათ ფილმებს: „დრამერი“ – რეჟისორი კოტე კალანდაძე, „მაინც ვითამაშებთ“ – რეჟისორი გიორგი ვარსიმაშვილი, „ქრისტე ჩიტი (ნათლობა იორდანეში)“ – რეჟისორი: მიხეილ კვირიკაძე, „აქსელი“ – რეჟისორი ლევან უჩანეიშვილი.

„ოქროს პრომეთე“ საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის – „ჩემი მეგობარი ანდრო“ – რეჟისორი კატალინა ბაქრაძე.

„ოქროს პრომეთე“ საუკეთესო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის – „სახელმწიფო სახელმწიფოში“ – რეჟისორი თეკლა ასლანიშვილი.

„ოქროს პრომეთე“ საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის – „ჰეი, გუნეშ!“ – რეჟისორები ანა ჯეგნარაძე, მარიტა თევზაძე.

დოკუმენტური სექციის გამარჯვებული გახდა პროექტი: არავინ არ ჩანს, პროდიუსერი ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი კოტე კალანდაძე. მხატვრული სექციის გამარჯვებული პროექტი: მე – გრეტა, პროდიუსერი მარიამ ბიწაძე, რეჟისორი მირანდა ნამიჭეიშვილი. თითოეულ მათგანს გადაეცა მულტიფუნქციური სამუშაო სივრცე „ტერმინალის“ მიერ დაწესებული პრიზი 5000 ლარი.

ახლად დაფუძნებულმა კინომარკეტინგულმა კომპანიამ დააწესა პრიზი და საკუთარ ფავორიტ ერთ მხატვრულ და ერთ დოკუმენტურ პროექტს უფასოდ გაუკეთებს „ბრენდბუქს“. გამარჯვებული პროექტებია: მე – გრეტა, პროდიუსერი მარიამ ბიწაძე, რეჟისორი მირანდა ნამიჭეიშვილი. ქართლი, პროდიუსერი ქეთო ყიფიანი (საქდოკ ფილმი), რეჟისორი თამარ კალანდაძე, ჟულიენ პერბელი.

# ასტროპროგნოზი



30 დეკემბრისათვის

**ვერძი** – დაძაბული დღეა. კოლეგებთან კონფლიქტი დიდ ენერგიას წაგართმევთ. შესაძლოა, ქრონიკული დაავადებები გაგიმწვავდეთ. **კურო** – ყოველგვარი უსიამოვნების სათავე თქვენი ზედმეტად მგრძნობიარე ბუნებაა. ეცადეთ, იყოთ ტაქტიანი და მომთმენი. **ტყუპები** – სამუშაო თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. მოსალოდნელია პრობლემები ახლო ნათესავებთან. **კირჩხიბი** – დღის პირველი ნახევარი, მეორისაგან განსხვავებით, წარუმატებელია. ნებისმიერი მოულოდნელობისათვის მზად იყავით. **ლომი** – კონფლიქტი და გაუგებრობა დიდ დროს დაგახარჯვინებთ, თუმცა სიტუაცია მაინც თქვენ სასარგებლოდ შეტრიალდება. **ქალწული** – ყურადღებით აკონტროლეთ ფინანსები. გასავალი შემოსავალს არ უნდა აღემატებოდეს. **სასწორი** – ხელმძღვანელობასთან სერიოზული საუბარი გელით. დღის მეორე ნახევარში ახლობლების მხარდაჭერას იგრძნობთ. **მშვილდოსანი** – იღბლიანი დღეა. ფორტუნა გიღიმით, მაგრამ გახსოვდეთ – უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია. **თხის რქა** – მოუგვარებელი პრობლემები თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციასა და მყისიერ რეაგირებას მოითხოვს. იოლად ნურავის მიენდობით. **მერწყული** – საყიდლებზე ნუ წახვალთ. ნავაჭრი იღბლიანი არ იქნება. შრომის ნაყოფიერება მაღალია. **თევზები** – წვრილმანი პრობლემები დაგღლით. მოგიწევთ ახლობლებზე ზრუნვა. **თევზები** – შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საკუთარ თავზე კონტროლს ნუ დაკარგავთ. ნებისმიერი საქმე თქვენგან დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. გარეული მტრედი; 2. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 3. ბრინჯაოს ქართული სახელწოდება; 5. ლუდის დანალექი, გამონახარში; 6. ფრანგი კომიკოსი მამაკაცი; 8. კომბინაცია პოკერში; 11. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 13. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 14. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 15. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 19. ჩრდილოეთის ცივი ქარი ზღვის სანაპიროზე.

**თარაზულად:** 1. მყარი საწვავი ნივთიერება; 4. საუზმე სადილსა და ვახშამს შორის; 7. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 10. რომან „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 9. პირადი კომპიუტერი; 12. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 16. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 17. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 18. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 20. რელიგიური საგალობელი; 21. ეგრისის მთავარი; 22. მოხდენილად, ლამაზად ჩამცმელი მამაკაცის სახელწოდება ძველად საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

